ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

სპეციალობა - საჯარო მმართველობა

დიანა ცეცხლაძე

სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერებაში და მშობელთა ჩართულობა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

თემის ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე, მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური, 2019

ანოტაცია

სახელმწიფოს მხრიდან თუკი ვინმეს მეტი მხარდაჭერა ჭირდება, ეს მოზარდებია - ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე. სწორედ აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი. მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში რიგი საჯარო უწყებებისა განუზომელ როლს ასრულებენ. ცხადია, ცალსახადაა მნიშვნელოვანი ამ ყველაფერში მშობელთა ჩართულობა, ოჯახი, რომელიც სახელმწიფოს მცირე უჯრედი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისგან. საკუთრივ თავები დაყოფილია ქვეთავებად, რაც თვალნათლივ უსვამს ხაზს მის პრაქტიკულ ღირებულებას.

სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მედიაწიგნიერების როლი, ფსიქოლოგიური ელემენტები და სახელმწიფო, როგორც უმნიშვნელოვანესი ბერკეტი - ამ ყველაფერთა პარალელებმა საინტერესო შედეგამდე მიგვიყვანა.

მეტი სიცხადისთვის ჩავატარეთ სოციალური კვლევა, რათა გამოგვეკვეთა რიგი პრობლემური ასპექტები და მათივე გადაჭრის გზები დაგვესახა. არც შედეგმა დააყოვნა. სამაგისტრო ნაშრომი ცხადყოფს ინოვაციათა წყებას, რაც ვფიქრობთ, რომ უნდა გავითვალისწინოთ.

Annotation

If somebody needs special support from the government – these are teenagers-our future. My Master's Thesis is dedicated to that very problem. Some public institutions play a very big role in forming teenagers' consciousness. The role of the family, of course, is very significant too, as it represents the small part of the state and at the same time it is one of the most important component of the society.

My Master's Thesis consists of introduction, four chapters and a conclusion. The chapters are divided into subchapters – what underlines its practical value.

Developing civic consciousness, the role of media literacy, psychological elements and the state itself as the most important component-all these parallels have brought us to a very interesting result.

To clarify the details we conducted some social research in order to show some problematic aspects and find the ways to solve them. The result is achieved. The Master's Thesis shows some innovations that should be taken into account.

სარჩევი

შესავალი.....5

თავი 1. სახელმწიფო და მოზარდები 9

თავი 1.1 რა არის სახელმწიფო (ცნების განმარტება).....9

თავი 1.2 მოზარდი - კონსტიტუციური უფლებები.....14

თავი 1.3 მოზარდის ცნობიერება (ფსიქოლოგიური მიმოხილვა).....21

თავი 1.4 სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში.....23

თავი 2. სახელმწიფო და განათლება 27

თავი 2.1 განათლება (ტერმინის განმარტება).....27

თავი 2.2 განათლების ფუნქციური დანიშნულება.....30

თავი 2.3 სახელმწიფო, განათლება და მოზარდი.....34

თავი 2.4 მოზარდთა სამოქალაქო ცნობიერება.....37

თავი 2.5 მედიაწიგნიერების როლი ცნობიერების ამაღლების საკითხში.....41

თავი 3. მშობელთა ჩართულობა და სახელმწიფოს თანადგომა 46

თავი 3.1 სახელმწიფო და ოჯახი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში.....46

თავი 4. სოციალური კვლევა.....52

დასკვნა.....75

დანართი.....77

ბიბლიოგრაფია.....84

შესავალი

სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია. ცხადია, ამ ყველაფერში განუზომელია ოჯახის ინსტიტუტი, მშობელთა ჩართულობა. რიგ საჯარო უწყებებს მეტი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა მართებთ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. 21-ე საუკუნემ ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ სხვადასხვა რეალობა შემოგვთავაზა. მოზარდი არის ის, ვინც რეალურად სამყაროს ცენტრში უნდა დავაყენოთ, რათა ხვალინდელი წარმატებული სახელმწიფო, საჯარო დაწესებულებები, სწორედ მათზეა დამოკიდებული. ცხადია, ამით იმის თქმა გვინდა, რომ პირობა, რომელსაც დღეს ჩვენ მათ შევუქმნით, ხვალინდელი ჩვენი და მათი ერთობლივი მომავლის საწინდარია.

მშობლის და სახელმწიფოს ერთობლივი ვალია, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ მოზარდში პოზიტიური საწყისების განვითარებას შეუწყონ ხელი; რაც მთავარია, ამას ერთობლივი ძალისხმევით და სიყვარულით უნდა აკეთებდნენ. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი სწორედ პრობლემის აქტუალობის მტკიცებას წარმოადგენს. ჩვენ მიერ ჩატარებული სოციალური კვლევის საფუძველზე, მაქსიმალურად შევძელით დაგვესახა პრობლემის გადაჭრის გზები, რაც მეტწილად თემის ინოვაციურ ჭრილშიცაა განსახილველი.

თემის აქტუალობა: მოზარდის აღზრდა ამოუწურავი თემაა და ამავდროულად, ყველა ეპოქაშია აქტუალური. მოზარდს მისი ზრდა-განვითარების ნებისმიერ საფეხურზე

სჭირდება მშობლის მხარდაჭერა, რადგან ბავშვებისთვის ყოველი დღე მნიშვნელოვანია, ისინი ხომ მუდმივი ზრდისა და განვითარების რეჟიმში იმყოფებიან. მშობლის პარალელურად განუზომელია საგანმანათლებლო უწყებისა და სახელმწიფოს როლი. ფატობრივად, სკოლა, ოჯახი, სახელმწიფო და საზოგადოება, ერთიან ჯაჭვურ სისტემას ქმნიან და რომელიმე რგოლის უგულებელყოფა გამორიცხულია, შეუძლებელია. თემის აქტუალობაც იმაში მდგომარეობს, რომ პრობლემა ამოუწურავია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე. სახელმწიფო თუ ოჯახი, ოჯახი თუ სახელმწიფო... პრობლემის ამგვარად დასმა მართებულად არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ეს ორი საპასუხისმგებლო მხარე მომიჯნავედ დგას ერთ სიბრტყეზე და საკითხის დასმაც ამგვარადაა უპრიანი: ოჯახი და საელმწიფო. დღევანდელი სოციალური რეალობიდან გამომდინარე, ხშირად ლუკმა-პურის საშოვნელად სახლიდან გასულ მშობელს ძალიან ცოტა დრო რჩება შვილებისთვის, ამიტომაც სახელმწიფომ და ამავდროულად, სკოლამაც - უნდა იტვირთოს, როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია. უნდა გვახსოვდეს, რომ ეპოქას ადამიანები ქმნიან და ძლიერ ეპოქას ძლიერი, განათლებული, სწორად აღზრდილი თაობა ქმნის. ქვეყნის და ხალხის ბედი მომავალ თაობაზეა დამოკიდებული, მათ ხელშია სახელმწიფოს განვითარების სადავეები.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია არგუმენტირებულად ჩამოვაყალიბოთ და ნათელი გავხადოთ სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, მშობელთა ჩართულობის ფუნქციური ასპექტები თუ ელემენტები; გავარკვიოთ რა უწყობს ხელს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებას და რა როლს ასრულებს მედიაწიგნიერება მოზარდის ცნობიერების განვითარებაში.

ამოცანები:

1) სახელმწიფოს ცნების განმარტება და მისი როლის დადგენა მოზარდის ცნობიერების განვითარებაში, მოზარდის კონსტიტუციური უფლებები და მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში მათი როლის გამოვლენა;

2) მოზარდის ცნობიერების ფსიქოლოგიური მიმოხილვა, პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება;
3) განათლების მნიშვნელობის გამოვლენა მოზარდის ცნობიერების განვითარების საქმეში და სახელმწიფოს როლის დადგენა განათლების ხარისხის ზრდის საკითხში;
4) მედიაწიგნიერების მნიშვნელობისა და როლის დადგენა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში;
5) მშობელთა ჩართულობა, სახელმწიფო და მშობელი, სახელმწიფოს თანადგომა, რას აკეთებს, როგორ ეხმარება სახელმწიფო ოჯახს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში და რა ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე.

კვლევის მეთოდები: წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სოციალური გამოკვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები, რომლის მეშვეობითაც შევეცადეთ გამოგვეკვეთა ჩვენ მიერ საკვლევი თემის რიგი პრობლემები.

ასევე, გამოყენებულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, ინტერნეტმასალები, საკანონმდებლო აქტები და დებულებები.

თემის სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 85 გვერდს, რომელიც შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. საკუთრივ თავები დაყოფილია ქვეთავებად, რაც ნაშრომს პრაქტიკულ ღირებულებას სძენს. თემას ერთვის დანართი და გამოყენებული ლიტერატურული ნუსხა.

პირველი თავი - „სახელმწიფო და მოზარდი“ შედგება ოთხი ქვეთავისაგან. აქ საუბარია სახელმწიფოს რაობაზე, მის წარმოშობასა და სახვადასხვა მოდელზე, ასევე მოზარდის კონსტიტუციურ უფლებებზე, წარმოდგენელია მოზარდის ცნობიერების ფსიქოლოგიური მიმოხილვა და სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების განვითარებაზე.

მეორე თავი - „სახელმწიფო და განათლება“ ხუთი ქვეთავისაგან შედგება და განხილულია განათლების რაობა, მისი ფუნქციური დანიშნულება, სახელმწიფო და განათლება, მოზარდთა სამოქალაქო ცნობიერება და მედიაწიგნიერება.

მესამე თავი - „მშობელთა ჩართულობა და სახელმწიფოს თანადგომა“ ერთი ქვეთავისაგან შედგება სახელმწიფო და ოჯახი თუ ოჯახი და სახელმწიფო მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. აქ ვსაუბრობთ, თუ რომელია უფრო პრიორიტეტული და რომელს მეტი ფუნქცია აკისრია მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფოს როლის განსაზღვრა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში და მშობელთა ჩართულობის ხარისხი საქართველოს მაგალითზე. ინოვაციაა ისიც, რომ თეორიის კვალდაკვალ, პრაქტიკულ ელემენტებსაც განვიხილავთ და ვცდილობთ, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის გაკეთებას. ნაშრომში წარმოდგენილია არსებული მიღწევები და პრობლემები.

სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერებაში და მშობელთა ჩართულობა

1 თავი. სახელმწიფო და მოზარდები

„იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველ ხანებშივე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს ადამიანის მერმისზედ“.

ილია ჭავჭავაძე

1.1. რა არის სახელმწიფო (ცნების განმარტება)

„სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

რაფიელ ერისთავი

მსოფლიოში უამრავი სახელმწიფო არსებობს. ზოგი ძლიერი, ზოგიც სუსტი, არსებობენ მკვდარი სახელმწიფოებიც. ყველა ადამიანი ოცნებობს ძლიერ სახელმწიფოში ცხოვრებაზე, ქვეყნის ძლიერების საფუძველი კი განათლებული, ჩამოყალიბებული, კულტურული, დემოკრატიულად მოაზროვნე საზოგადოება, ძლიერი ეკონომიკა, სამხედრო ბაზა, ენა, ტერიტორიული მთლიანობა და სხვა

პირობებია, როგორც ილია ამბობს „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა - პაპათაგან: ენა, მამული, სარწმუნოება“, ეს ცნობილი ტრიადა, რაც ილიამ ანდერძად დაგვიტოვა, ძლიერი სახელმწიფოს მთავარი ატრიბუტია, რასაც გაფრთხილება სჭირდება. სახელმწიფოს კეთილდღეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული მოქალაქისთვის, ის ხომ სამშობლოსთან არის გაიგივებული. სამშობლო კი ადამიანისთვის უმთავრესია. საქართველოში განსაკუთრებულად გვიყვარს, „სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“, რაფიელ ერისთავის ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ქართველისთვის სამშობლოს სიყვარული ღვთიური მცნების აღსრულებაა, უფლის დიდება, მისი მსახურებაა, ამრიგად, სახელმწიფო სამშობლოა, რომლის წინაშეც ყველა მოქალაქე ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია.

სახელმწიფოს ცნების განმარტების რამდენიმე ვერსია არსებობს, ოფიციალური განმარტება კი ასე გამოიყურება - “სახელმწიფო ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი” [1, ინტერნეტ წყარო]

ამასთანავე, სამოქალაქო ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო ეს არის ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მუდმივად სახლობენ ფიქსირებულ ტერიტორიაზე, აქვთ საერთო კანონები, ჰყავთ მთავრობა და შესწევთ საერთაშორისო ურთიერთობის წარმართვის უნარი.

ასევე საინტერესოა ცნობილი გერნმანელი იურისტის ჰეფენდორფის განმარტება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო არის რთული მორალური პიროვნება, რომლის ნებაც განიხილება თითოეული პიროვნების ნების სახით; ეს ნება

წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე ყველა ნების ერთიანობით, ადამიანთა თავისუფლებისა და უსაფრთხოებისთვის. სახელმწიფოსა და ადმიანის უფლებების წარმოშობის საფუძვლად იგი მიიჩნევს: საზოგადოებრივ ხელშეკრულებას (pactum) და დამორჩილების შესახებ ხელშეკრულებას (decretum). პირველი ხელშეკრულებით ადამიანთა დიდი ჯგუფები ერთიანდებიან ხელშეკრულებით, ერთი საზოგადოებრივი ერთეულის სახით და შემდეგ თანხმდებიან მეორე ხელშეკრულების, არჩეული ხელისუფლებისადმი მორჩილების, პირობებსა და ფარგლებზე. სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლების მფლობელად მას სუვერენი - უმაღლესი ავტორიტეტი მიაჩნია. ჰუფენდორფი თვლის, რომ სახელმწიფოს შექმნით ბუნებრივი უფლებები იზღუდება, თუმცა რჩება ძირითადი უფლებები: საკუთრების, რწმენის თავისუფლების და სხვა. იგი მათ ხელშეუხებელ უფლებებად თვლის. მისი შეხედულებები ადამიანის უფლებებზე არ იყო საკმარისად ლიბერალური, იგი უფრო აბსოლუტური მონარქიის მომხრედ დარჩა. იგი ლუთერანული ასკეტიზმის სტილში მოითხოვს მონარქისაგან, რომ მან უარი თქვას ყველა ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე, რაც ხელს შეუშლის მას სახელმწიფოებრივი ვალდებულებების შესრულებაში. ეს შეხედულება გამოწვეული იყო იმითაც, რომ ჰუფენდორფი ფეოდალური სამართლებრივი იდეოლოგიის პერიოდში ცხოვრობდა.

ციცერონის აზრით, კი სახელმწიფო არის ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობა, იურიდიული კავშირი; სახელმწიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე.

„სახელმწიფო არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესებს და განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს კანონიერებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და მთლიანობას. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაა. ამ ხელისუფლებას საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ მოქმედებს ხალხის სახელით. იგი სახელმწიფო ხელისუფლებაა, რადგანაც ხორციელდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით, საჭირო შემთხვევაში

იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით. სახელმწიფო ხელისუფლება სუვერენულია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ხორციელდება თავისუფლად, ყველა სხვა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად“. [2,საქართველოს კონსტიტუცია: გამოცემა მოზარდებისთვის]

ხოლო ვებერისეული გაგებით, „სახელმწიფო კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ინსტიტუტია, რომელიც ამ ტერიტორიაზე აღასრულებს ,,ძალადობაზე მონოპოლიას” (Gewaltmonopol) და ახდენს ხალხისაგან ხალხის მართვას ლეგიტიმურ საფუძველზე“.

არისტოტელეს განმარტებით, ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს, ნებისმიერი კავშირი კი რაიმე სიკეთის მიღწევას ისახავს მიზნად, რადგან ყველა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია”. სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. არისტოტელე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომლის გარეშეც სახელმწიფო წყვეტს არსებობას და გაურკვეველი ტერიტორია-აბსტრაქტად გადაიქცევა. არისტოტელესეული კლასიფიკაციით სახელმწიფოები იყოფიან დადებით სახელმწიფოებად და მათ დამახინჯებულ ფორმებად. ტირანია, იგივე დიქტატურა, არისტოტელეს მონარქიის დამახინჯებად მიაჩნია, ანარქია - დემოკრატიის, ოლიგარქია კი - არისტოკრატიის. რამდენადაც ტირანია სახელმწიფოს ხელმძღვანელის პირად ინტერესებს ემსახურება, ოლიგარქია - მდიდართა ფენის, ანარქია კი ღარიბთა ინტერესებს გამოხატავს, სამივე უარყოფით სახელმწიფოთა ჯგუფს მიეკუთვნება, ვინაიდან ზრუნავენ საზოგადოების მხოლოდ ნაწილზე და არა მთლიანად, საზოგადოებაზე. სახელმწიფოს ყველაზე უარყოფითი ფორმა არის ტირანია, ვფიქრობთ, ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერება და კაცობრიობის ისტორიას ახსოვს მრავალი მსგავსი მოვლენა. მაგალითად დიქტატორული სახელმწიფოების ავტორიტარული მმართველები, რომლებსაც საოცარი სახელი და დიდება ჰქონდათ ქვეყანაში და ხალხში სარგებლობდნენ უდიდესი ავტორიტეტით,მათ უფრო მეტად სწყალობდნენ ვიდრე სამართლიან მმართველებს.

[3,ინტერნეტ წყარო].

აგრეთვე სახელმწიფოს რაობა სამი სხვადასხვა თვალსაზრისით ესმოდათ: **იდეალისტური, ფუნქციონალური** და **ორგანიზაციული** გაგებით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო“ და „ქვეყანა“ შესაძლოა იდენტურ ცნებებად იქნეს გამოყენებული, თუმცა „ქვეყანა“ უფრო გეოგრაფიული ტერიტორიაა, ხოლო „სახელმწიფო“ - მისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

რაც შეეხება სახელმწიფოს რაობის სამ სხვადასხვა თვალსაზრისს: იდეალისტური გაგება ყველაზე ნათლად ჰეგელის ნაშრომებში მოჩანს. ჰეგელი, საზოგადოებრივი არსებობის სამ დონეს გამოყოფდა, ოჯახს, სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფოს. იგი ამტკიცებდა, რომ ოჯახს “თავისებური ალტრუიზმი’’ ახასიათებს, როცა ადამიანი შვილებისა თუ მშობლების სასიკეთოდ საკუთარ ინტერესებს უგულებელყოფს, ამის საპირისპიროდ სამოქალაქო საზოგადოებას ჰეგელი “საყოველთაო ეგოიზმის’’ სფეროდ მიიჩნევს, სადაც უმთავრესი პიროვნების კერძო ინტერესებია; ხოლო, სახელმწიფო იმგვარი ზნეობრივი მთლიანობაა, რასაც საფუძვლად ურთიერთთანაგრძნობა, ანუ საყოველთაო ალტრუიზმი უდევს. თუმცა, იდეალიზმის ხინჯიც ისაა, რომ უპირობოდ აღიარებს სახელმწიფოს ზნეობას და მასზე ზნეობრივი კატეგორიებით საუბრისას ვერ ახერხებს მკვეთრად გამიჯნოს სახელმწიფოს შემადგენელი და მის მიღმა მყოფი ინსტიტუტები. სახელმწიფოსადმი ფუნქციონალური მიდგომა მთავარ ყურადღებას სახელმწიფო ინსტიტუტების დანიშნულებასა და მიზანს უთმობს, ხოლო მის უმთავრეს ამოცანად „სოციალური წესრიგის“ შენარჩუნებას მიიჩნევს. ამრიგად, სახელმწიფო განისაზღვრება, როგორც საზოგადოებაში წესრიგისა და სტაბილურობის დამცველი ინსტიტუტების ერთიანობა. მათი სისუსტე ისაა, რომ წესრიგის უზრუნველმყოფ ნებისმიერ ინსტიტუტს (თუნდაც ოჯახს, მას-მედიას, პროფგაერთიანებებს თუ ეკლესიას) თავად სახელმწიფოსთან აიგივებენ.

ორგანიზაციული თვალსაზრისის თანახმად, სახელმწიფო მმართველობის აპარატია ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ანუ იმ ინსტიტუტთა ერთობლიობა,

რომელნიც საზოგადოებრივი ყოფის ორგანიზაციაზე აგებენ პასუხს და ხალხის ჯიბიდან ფინანსდებიან. ამგვარი განმარტების ერთი ღირსება ისიცაა, რომ სახელმწიფოს ცნება მკვეთრად იმიჯნება სამოქალაქო საზოგადოებისაგან. სახელმწიფო მმართველობის მრავალგვარ ინსტიტუტს აერთიანებს, ბიუროკრატიას, შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, სასამართლოს, სოციალური დაცვის სისტემას და სხვა, ანუ მთელ „პოლიტიკურ ორგანიზმს“ და სწორედ ამის წყალობით მოხდა იმგვარი ცენტრალიზებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება მე-15-მე-16 საუკუნეების ევროპაში, რომელმაც ყველას და ყველაფრის დაქვემდებარება მოახერხა, გინდა წიაღისეულის, გინდა მიწიერი ცხოვრების სფეროში. სხავათა შორის, ორგანიზაციული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფოს როლის ზრდასა თუ დაკნინებაზეც ვისაუბროთ, იმისდა მიხედვით, იზრდება თუ მცირდება მისი პასუხისმგებლობა; ფართოვდება თუ იზღუდება ინსტიტუციონალური მექანიზმის არეალი.

[4, ინტერნეტ წყარო].

ამრიგად, ჩვენ გავეცანით სახელმწიფოს ცნების რამდენიმე ვერსიას და როგორც დავინახეთ, საკმაოდ საინტერესოდ ჟღერს თითოეული მათგანი. მაშასადამე, სახელმწიფო არის ოჯახის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლიობა(ჰეგელი) ის რთულ, მორალურ პიროვნებასთანაც გააგივეს (ჰეფენ დორფი). გავეცანით ენციკლოპედიურ ლექსიკონში წარმოდგენილ განმარტებას,ოფიციალურ განმარტებას, ციცერონის განმარტებას, არისტოტელეს, პლატონის და სხვათა შეხედულებებს. თითოეულ მათგანს საერთო ამ განმარტებებში აქვთ ის, რომ სახელმწიფო არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ხელისუფლება, აგრეთვე მართვის ქცევის წესები ანუ კანონები, რომელთა მორჩილება სავალდებულოა ყველასთვის და სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს არა ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის, არამედ მთელი მოსახლეობისათვის.

1.2. მოზარდი - კონსტიტუციური უფლებები

(სკოლა, ოჯახი, საზოგადოება)

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

დღეს როცა საუბრობენ მოზარდის უფლებებზე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და აქვთ საკუთარი უფლებები. მათ აკისრიათ გარკვეული პასუხისმგებლობაც საზოგადოების წინაშე, მაგრამ თუ არ ექნებათ გაცნობიერებული და გააზრებული საკუთარი უფლებები, ვერასოდეს გაიაზრებენ ვალდებულებებს.

მოზარდთან ურთიერთობისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ისინი განსაკურებით მტკივნეულად განიცდიან ნებისმიერი სახის უფლების შელახვას, დავით გურამიშვილიც ამას გულისხმობს, როდესაც ამბობს, რომ დაუშვებელია უხეშობა და ძალადობა მოზარდზე:

„რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ შექმნას ყივილი,-

უფრთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექმნა ჩივილი“.[5, 380].

მოზარდის ეტიმოლოგიის განმარტება კი ასე გამოიყურება: “მოზარდი არის ის, ვინც ან რაც იზრდება, ზრდის პროცესშია, ზრდადაუსრულებელია

[6, ინტერნეტ წყარო].

მოზარდობის ხანა – ეს არის ხიდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. მისი ხანგრძლივობა ჩვენს დროში სულ უფრო და უფრო იზრდება, ვინაიდან მოწიფულობამდე ბევრი ცოდნა და უნარ-ჩვევაა დასაუფლებელი.

მოზარდობის ხანა 10-11-დან 15-16 წლამდე ასაკს მოიცავს და უმცროსი და უფროსი მოზარდობის პერიოდებად იყოფა. უმცროსი მოზარდობის პერიოდი 10-11-დან 14 წლამდე გრძელდება, უფროსი კი 14-დან 16 წლამდე, თუმცა ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს პერიოდი 19 წლის ასაკში სრულდება.[7,ინტერნეტ წყარო].

“ბავშთა უფლებები“ არის ადამიანის უფლებები ბავშვებისა და 18 წლამდე მოზარდებისათვის. იმ ფაქტის აღიარების საფუძველზე, რომ ბავშვობა ჩვენი

ცხოვრების განსაკუთრებული პერიოდია, ბავშვებისა და მოზარდებისთვის უფლებების ცალკე წყება ჩამოყალიბდა.

1989 წლის 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაამტკიცა ბავშვის უფლებათა კონვენცია. დღეს ის საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელსაც ქვეყნები ხელს აწერენ და როდესაც მის რატიფიცირებას მოახდენენ, მათ იურიდიულად მოეთხოვებათ კონვენციის შესრულება. მისი რატიფიცირება მსოფლიოს ყველა ქვეყანამ მოახდინა, გარდა სომალის და ამერიკის შეერთებული შტატებისა.

გაეროს ბავშვთა კონვენციაში 54 მუხლია, რომელთაგან თითოეულში განსაზღვრულია განსხვავებული უფლება. ეს უფლებები იყოფა ოთხ ჯგუფად: არსებობა, დაცვა, განვითარება და მონაწილეობა.

არსებობასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებს ბავშვის სიცოცხლის უფლებას და უფლებას, დაკმაყოფილდეს არსებობისთვის აუცილებელი საჭიროებები. ეს არის კვება, საცხოვრებელი და ჯანმრთელობის დაცვის მისაწვდომობა.

განვითარებასთან დაკავშირებული უფლებები ეს არის განათლება, დასვენება და თავისუფალი დრო, კულტურული საქმიანობა, ინფორმაციის მისაწვდომობა.

დაცვასთან დაკავშირებული უფლებები მოითხოვს, რომ ბავშვები დაცულ იქნენ ყოველგვარი ფორმის შეურაცხყოფის, უგულებელყოფისა და ექსპლუატაციისაგან. ეს უფლებები ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ლტოლვილი ბავშვების საგანგებო დაცვა, დაცვის საშუალებები მომუშავე ბავშვებისათვის და იმ ბავშვების დაცვა და რეაბილიტაცია, რომლებმაც განიცადეს რაიმე ფორმის ძალადობა და ექსპლუატაცია.

მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებს, რომ ყველა ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა აქტიური როლი შეასრულოს თავის თემსა და საზოგადოებაში. ეს უფლებები მოიცავს გამოხატვის თავისუფლებას და უფლებას, სათანადო ყურადღება დაეთმოს ბავშვის შეხედულებებს იმ საკითხებში, რომლებიც

მის ცხოვრებაზე ახდენს ზემოქმედებას. უნდა გაიზარდოს ბავშვისთვის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრებაში, რათა მოემზადოს პასუხისმგებლობით აღსავსე ზრდასრული ცხოვრებისათვის.

კონვენციის 41 ძირითადი მუხლიდან ოთხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ისინი არსებითია კონვენციაში გათვალისწინებული ყველა უფლების ხორცშესხმისათვის. ქვემოთ ჩამოთვლილია ეს მუხლები, რომლებიც კონვენციის „საერთო პრინციპებად“ არის ცნობილი:

მე-2 მუხლი: უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კონვენციაში გათვალისწინებული ყველა უფლება თითოეული ბავშვისთვის, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე.

მე-3 მუხლი: ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხხორციელებისას უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

მე-6 მუხლი: ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება.

მე-12 მუხლი: ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ყველა იმ საკითხში, რომლებიც მის ცხოვრებაზე ახდენს ზემოქმედებას.

საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციას შეუერთდა 1994 წელს. კონვენციის მოთხოვნათა თანახმად საქართველო ახორციელებს ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებს ეროვნულ კანონმდებლობაში. კონვენცია გამოიყენება საქართველოში, როგორც უშუალოდ მოქმედი კანონი და საქართველოს ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. მოზარდს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვს, როგორც სრულწლოვან ადამიანს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, (მაგალითად. საარჩევნო უფლება). ადამიანის უფლებები, მათ შორის ბავშვის უფლებათა დაცვა, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის II თავით. კონსტიტუციით დაცულია ბავშვის სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სიტყვის თავისუფლება, შეკრებების უფლება, სიტყვის,

აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, განვითარების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება უდანაშაულობის პრეზუმფცია, უკანონო დაკავებისაგან, წამებისაგან დაცვის უფლება და სხვა.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ბავშვი დაბადებისთანავე იძენს გვარს, სახელს და მოქალაქეობას. ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად. 14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ყველა ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახში და არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ბავშვის უფლებები დაცულია მშობლების განქორწინების შემთხვევაშიც.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ბავშვის უფლებების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ. კანონის თანახმად, მოსწავლეს აქვს უფლება: თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით; სახელმწიფო იცავს მოსწავლის და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას. მოსწავლე დაცული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება.

არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიები ჩამოყალიბებულია საქართველოს შრომის კოდექსში. საქართველოს კანონმდებლობით სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკია 16 წელი.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების დადება, მაგრამ მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

2010 წლის მარტიდან ფუნქციონირებს "ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები", რომელიც სამი სამინისტროს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – კოორდინაციის მექანიზმს წარმოადგენს და მიზნად ისახავს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების ადრეულ ეტაპზე გამოვლენასა და მათზე რეაგირებას.[8, 14,15,16,17,19,21,26,27].

მოკლედ, საქართველოში მოზარდის კონსტიტუციური უფლებები სახელმწიფოს დონეზეა აყვანილი. ყველა კუთხით დაინტერესდა სახელმწიფო ბავშვის უფლებებზე და საკუთარ თავზე აიღო მათი დაცვა, ხოლო ვინც დაარღვევს მას, სახელმწიფო იმისთვისაც გაატარებს საჭირო ზომებს, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია მოზარდების დაცვისა და მათი მომავლის გაფრთხილების მიზნით მოფიქრებული.

ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, თითოეული ქართველის ოცნებაა ძლიერი, განვითარებული, თავისუფალი ქვეყნის მოქალაქე იყოს, ქვეყნის კეთილდღეობა კი დამოკიდებულია მომავალ თაობაზე. დღეს კი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მომავალი თაობის აღზრდა და ჩამოყალიბებაა. ეს მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, ამისთვის ის ყველაფერს აკეთებს: დაწყებული ბავშვთა ბაღიდან, უნივერსიტეტით დამთავრებული. საქართველოში ბაღები სრულიად უფასოა, განათლება ხელმისაწვდომია ყველასთვის. წარჩინებული მოსწავლეების წახალისების მიზნით სახელმწიფო აწესებს ჯილდოებს, ეს იქნება კომპიუტერი თუ ოქროს და ვერცხლის მედლები, სერტიფიკატები და ა.შ. უფასო სპორტული და სახელოვნებო წრეები. სკოლაში წიგნები უფასოა, პირველკლასელებს ურიგდებათ კომპიუტერები, უნივერსიტეტებს აქვთ გაცვლითი

პროგრამები. სახელმწიფო ეხმარება მატერიალურად მრავალშვილიან ოჯახებს. ბავშვებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, სამედიცინო მომსახურება უფასოა. როგორც დავინახეთ სახელმწიფო ზრუნავს და ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს ბავშთა უფლებების დაცვასა და განვითარების მიზნით, ვინაიდან ძლიერი სახელმწიფოს საწინდარი ძლიერი, თანამედროვედ მოაზროვნე მომავალი თაობაა.

სახელმწიფოს შემდეგ ყველაზე დიდი როლი მოზარდის ფორმირებაში ოჯახს, სკოლას აკისრია. ოჯახი ის ადგილია, სადაც მოზარდი ვითარდება და ყალიბდება, მშობლები შვილებისთვის ავტორიტეტები არიან და ხშირად ბაძავენ მათ. არსებობს შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობის რამდენიმე სახე- ავტორიტარული მკაცრი, მშობელი აიძულებს შვილს მოიქცეს ისე, როგორც თავად მშობელს სურს, ზომიერად მკაცრი ანუ დემოკრატიული აკონტროლებს შვილს და აძლევს რჩევებსა და მიმართულებებს, ხოლო ინდიფერენტული დამოკიდებულება გულისხმობს გულგრილობას არ აინტერესებთ შვილის ბედი, მომავალი, არ ცალიათ შვილებისთვის ძირითადად დაკავებული არიან თავიანთი საქმეებით. [9,ინტერნეტ წყარო].

ბავშვი, რომელიც გრძნობს მშობლის თანადგომას, იზრდება მოსიყვარულე, თბილ, მშვიდ გარემოში, რომელმაც იცის, რომ მასზე ზრუნავენ, უყვართ და ღელავენ მასზე თავადაც მზრუნველი, ემპათიური, თბილი და მოსიყვარულეა. მოზარდზე უარყოფითად მოქმედებს ოჯახური კონფლიქტები, მშობლებს შორის უთანხმოება, გამუდმებული კამათი, ჩხუბი, თრგუნავს, აგრესიულს და ფსიქიკურად გაუწონასწორებელს ხდის, ამიტომ მოზარდი ოჯახიდან იწყებს განვითარება-ჩამოყალიბებას, როგორც იტყვიან ბავშვი ოჯახის სარკეაო, ეს გამონათქვამი გამართლებულია, რადგან მშობლებისა და ოჯახის როლი უდიდესია ბავშვის პიროვნებად ფორმირების საქმეში. ბავშვი მშობელთან უნდა იყოს გახსნილი, ღია, გულწრფელი და გულახდილი, არ უნდა ეშინოდეს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას დასჯიან. შვილს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მშობლის თანადგომის იმედი, დაეყრდნოს მის გამოცდილებასა და ჭკუას, მისთვის ახლო მეგობარი და კარგი მრჩევალი უნდა იყოს და არა უცხო და უნდობი, რაც უფრო გაკიცხავენ და დასჯიან

შვილებს მათი საქციელის გამო, მით უფრო დაშორდებიან შვილები მათ, ჩაიკეტებიან საკუთარ თავში და შეიძლება თავიც კი დაიღუპონ, ისე, რომ მშობელმა ვერაფერი გაიგოს. ამიტომაც აღზრდის დროს მშობელი ფრთხილად უნდა იყოს, არ დაუშვას შეცდომა, გამოიჩინოს ყურადღება, დიდი დრო გაატაროს შვილებთან, გაისეირნონ ერთად, უყურონ ფილმს, ისაუბრონ ყველა თემაზე, თუნდაც, ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე, წაიკითხონ წიგნი, განიხილონ სხვადასხვა საკითხი და პატივი სცენ ერთმანეთის აზრებს, ერთად მიიღონ გადაწყვეტილებები, დაეხმარონ პრობლემების მოგვარებაში, სიძნელეების გადალახვაში, ესმოდეთ მათი და ახსოვდეთ, რომ ოდესმე თავადაც იყვნენ მათ ასაკში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი მოზარდის ფორმირებაში სკოლას აკისრია, სკოლა ის ადგილია სადაც ბავშვი იზრდება, ვითარდება, 12 წლის განმავლობაში, იღებს განათლებას და უკვე სრულწლოვანი მიდის ცხოვრების ახალ ეტაპზე. ზოგადი განათლების ეროვნული მიზანია აღზარდოს თავისუფალი ადამიანი, შექმნას ხელსაყრელი პირობები, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. განუვითაროს მოზარდს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მისცეს საჭირო ცოდნა, დაუმკვიდროს ცხოვრების ჯანსაღი წესი. უყალიბებს მოსწავლეებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, დაეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა)ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ)ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ)ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი;

დ)დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე)იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ)საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება, მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ)კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ)იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

როგორც დავინახეთ, სკოლას დიდი ფუნქცია აკისრია მოზარდების ფორმირებაში და ზოგადი განათლება აუცილებელია მისი ჩამოყალიბებისთვის,სწორედ სკოლა ზრდის ღირსეულ, წარმატებულ მომავალ თაობებს, სკოლა აძლევს საჭირო საზრდოს ბავშვს პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის. სკოლა ასწავლის, როგორ უნდა იყო შენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, რაც ადამიანის მთავარი დანიშნულებაა, რადგან სამშობლოდავიწყებული ადამიანი არარაობაა.

1.3. მოზარდის ცნობიერება (ფსიქოლოგიური მიმოხილვა)

ცნობიერების მხრივ მოზარდობის ასაკი ყველაზე გამორჩეულია. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია მოჭარბებული მგრძნობელობა, გამბედაობა და შეუპოვრობა, საკუთარი თავის ძიება, სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, მიდრეკილება ღირსეული საქმეების კეთების და გმირობისაკენ. ამ დროს მოზარდი მაქსიმალისტია შესაძლებელია არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩნდეს, განსაკუთრებული მიდგომა და სიფრთხილეა საჭირო მათთან ურთიერთობისას. მწვავე პროტესტი უჩნდებათ უსამართლობაზე .

მოზარდის ცნობიერება დღემდე ფსიქოლოგების კვლევის საგანია, არც ისე მარტივი შესასწავლია და ამას ექნება სისტემატური ხასიათი, რადგან დრო იცვლება, იცვლება ფასეულობებიც და შესაბამისად მოზარდის ცნობიერებაც დროის მოთხოვნილებიდან გამომდინარე ვითარდება და ყალიბდება. რას ნიშნავს ზოგადად ცნობიერება? რას გამოხატავს ის? ცნობიერება ეს არის შინაგანი მოვლენებისა და გარემო პირობების ცნობიერად აღქმის მდგომარეობა. ჩვეულებრივი, ფხიზელი ცნობიერება მოიცავს აღქმებს, აზრებს, გრძნობებს, წარმოდგენებსა და სურვილებს მოცემულ მომენტში. პირობითად შესაძლებელია ცნობიერების 3 დონის განსაზღვრა:

ბაზისური დონე — შინაგანი და გარეგანი სამყაროს ცნობიერება. ამ დონეზე ჩვენ სხვადასხვა შეგრძნების გაცნობიერება, შემჩნევა შეგვიძლია.

იმის ასახვა, გააზრება, რასაც ვაცნობიერებთ. ამ დონეზე სიმბოლურ ცოდნას ვიყენებთ, რომელიც გვათავისუფლებს რეალურ ობიექტებსა და მიმდინარე მოვლენებზე მიჯაჭვულობისგან და უფრო ზოგად ხასიათს ატარებს.

უმაღლესი დონე — საკუთარი თავის, როგორც ცნობიერი, მოაზროვნე ინდივიდის გაცნობიერება, ანუ თვითცნობიერება. ამ დონეზე პიროვნულად განცდილი მოვლენების ავტობიოგრაფიულად შემეცნება ხდება. [10, ინტერნეტ წყარო].

როგორც ვხედავთ, ბავშვი იზრდება, ყალიბდება და სასურველია ცნობიერების მესამე უმაღლეს დონეს მიაღწიოს მოზარდმა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიმეცნოს საკუთარი თავი და აქიდან დაიწყოს სამყაროს შემეცნება, როგორც დავით გურამიშვილი ამბობს თავის „დავითიანში“: „მოსწავლე უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.[11, 378]. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე უნდა სწავლობდეს იმისთვის, რომ შეიმეცნოს საკუთარი თავი, ამაში მნიშვნელოვანი როლი გარემოს აკისრია. მოზარდებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოციალური და პოლიტიკური ვითარება, რომელიც ოჯახებზეც აისახება. „ვისაც ომი გამოუცდია მას ბავშვობა არ ქონია“, - უთქვამს ერთ-ერთ სწავლულს ომი ანადგურებს ადამიანების, განსაკუთრებით ბავშვების, ცხოვრებას ამ

დროს დარღვეულია სტაბილურობა ქვეყანაში გაჭირვება, სიკვდილი, გლოვა, უბედურება ტრიალებს, რაც ბავშვების ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს. ამის საპირისპიროდ ბავშვების ფსიქიკას კარგად აყალიბებს ლაღი, უდარდელი, უზრუნველი და ბედნიერი ბავშვობა. მათთვის ფერადია სამყარო და სიყვარული მთავარი ატრიბუტია. მოზარდის ცნობიერება ფაქიზია, ბავშვი სუფთა დაფაა, რასაც დაწერ ის აისახება მასზე, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოვეპყროთ, რათა არ გაღიზიანდეს. ფსიქოლოგები ცნობიერებისა და ფსიქიკის თვალსაზრისით ყველაზე რთულ პერიოდად მოზარდებში გარდატეხის ასაკს მიიჩნევენ, რომელსაც ახასიათებენ, როგორც ამბოხის, არასტაბილურობის და პროტესტის გამოხატვის ასაკს.

როგორც ვნახეთ, საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი ფსიქიკით გამორჩევა მოზარდობის ასაკი და ძალიან უჩვეულო მახასიათებლები ახლავს მას, ერთი სიტყვით, გამოუცნობი, საინტერესო და მიმზიდველიც კი.

1.4. სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში

სახელმწიფო ოდითგანვე ზრუნავდა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებაზე. საერთოდ, სწავლა-აღზდას საქართველოში დიდი ტრადიცია ჰქონდა. მოზარდის ცნობიერების ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმართვა ისევ სახელმწიფოს ინტერესებში შედის და ამიტომაც კაცობრიობას ახსოვს მაგალითები იმისა, რომ სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობდა ბავშვის აღზრდა-განვითარების პროცესში, შეიმუშავებდა და აკანონებდა აღზდის მეთოდებს, რასაც უნდა დამორჩილებოდა ყველა, ამ გზით მოზარდის ცნობიერებას ისე წარმართავდა, რომ მომავალში სახელმწიფოს ინტერესებზე ყოფილიყო მორგებული. მაგალითად ცნობილი სპარტანული აღზრდის მეთოდი, რომელსაც სუხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში „სიბრძნე სიცრუისა“ წარმოდგენილ ლეონისეულ აღზრდის მეთოდსაც უკავშირებენ, გულისხმობს, „არისტოკრატების შვილების აღზრდის სახელმწიფო სისტემას სპარტაში ჩვ.წ-აღ-მდე VIII-IV სს-ში; 7-20 წლის ბიჭები და ყმაწვილები გადიოდნენ ფიზიკურ მომზადებას, რომლებიც მიმართული იყო სირთულეებთან შეგუების, ჩვევისა და გამძლეობის

ფორმირებაზე; ცხოვრობდენენ ინტერნატებში, სადაც ასწავლიდნენ კითხვას,წერას და საგუნდო სიმღერას; გოგონები ოჯახებში იზრდებოდნენ, თუმცა ასწავლიდნენ სირბილს, ბრძოლას, დისკოს და შუბის ტყორცნას“.[8, 828]. აღზრდის ასეთი მეთოდის გამოყენების მიზანი იყო მოზრდებში ისეთი ცნობიერების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობდა, რომ ქვეყნის დაცვსთვის ადამაინს უნდა აეტანა ყველა ფიზიკური ტკივილი და უკან არ უნდა დაეხია. როგორც ვნახეთ, აღზრდას განსაკუთრებული როლი აკისრია მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში და სახელმწიფოს ამ საქმეში უპირატესი დანიშნულება აქვს. ასე იყო ოდითგანვე და ასეა დღესაც. სახელმწიფო დღეს განსაკუთრებით იცავს ბავშვის უფლებებს, მიუღებელი და კანონით აკრძალულია ყველა ფაქტი, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მოზრდის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. თანამედროვე სამყაროში მეტად არის დაცული ბავშვთა უფლებები და სახელმწიფოს, თავის უპირველეს ვალდებულებად მიაჩნია ზრუნვა მოზრდის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე. მართალია სპარტანული აღზრდის მეთოდებთან მსგავსება იკვეთება, როგორც უკვე აღვნიშნეთ საბას იგავებში: ლეონიც მკაცრად სჯის ჯუმბერს და ცდილობს ფიზიკური ტკივილის მიყენებით ასწავლოს მოზარდს რა არის ტკივილი და ჩამოუყალიბოს თანაგრძნობის, თანაგანცდის, ემპათიის უნარი, დავით გურამიშვილიც იზიარებს მსგავს იდეოლოგიას და ამბობს: „ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი“[9, 353]. გურამიშვილი თვლის, რომ ფიზიკური სასჯელი აუცილებელია იმ ყრმათა მიმართ, რომლებიც სწავლის მიმართ გულგრილი არიან. ეს მოსაზრება ეხმიანება ებრაელთა მეფის, სოლომონის, სწავლებას, „რომელი ერიდებოდის კვერთხითა ძესა თვისსა სძულს იგი, ხოლო რომელსა უყვარდეს, გულსმოდგინედ სწავლინ“[12, 702]. ამავე აზრისაა წმინდა ბასილი დიდიც „ნუ განაყენებ ჩჩვილთა ყრმათა სწავლასა, უკეთუ სცემას კვერთხითა, ხოლო სული მისი იხსნე სიკუვდილისაგან“[13, 702]. მიუხედავად ასეთი წარჩინებული სწავლულების შეხედულებისა, დღეს ყოველგვარი ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედება ბავშვზე სასტიკად არის აკრძალული კანონით, სახელმწიფო კი მოზარდებზე ძალადობის ფაქტების შემთხვევაში რადიკალურ ზომებს ატარებს და სასტიკად სჯის მოძალადეებს. დღეს არათუ მასწავლებელს, მშობელსაც კი არა აქვს უფლება რაიმე სახით იძალადოს ბავშვზე. შესაძლებელია სპარტანული აღზრდის

მეთოდი იმ ეპოქაში გამართლებული იყო და სახელმწიფოების ინტერესებში შედიოდა, დღეს ეს ყოვლად გაუმართლებელია და ხდება პირიქით, სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას, მზრუნველობასა და ინტერესს იჩენს ბავშვების მიმართ. უდიდეს ინვესტიციას აბანდებს თაობების აღზრდა-განათლების საქმეში, არ იშურებს ძალისხმევას, ყველაფერს აკეთებს იმისათვის რათა ბავშვებს , მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოაკლდეთ და ხელი არაფერმა შეუშალოს მათი ცნობიერების სწორი მიმართულებით განვითარებას. ახლა ყველა პირობაა სახელმწიფოში მოზარდის ნორმალურად აღზრდა განვითარებისათვის.

როგორც დავინახეთ, ამ საკითხზე ფიქრისა და მსჯელობისას, რაც მკაფიოდ გამოიკვეთა, არის ის, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი საზრუნავი მომავალი თაობა, მისი აღზრდა და განვითარებაა. ამიტომაც არის რომ ქვეყანის მთავრობა სერიოზულად მუშაობს იმ მიმართულებით, რათა ჯანსაღი თაობა აღიზარდოს და მომავლისთვის ძალიან პროდუქტული, შრომისუნარიანი, საღად მოაზროვნე და დემოკრატიული საზოგადოება მიიღოს. ეს უკავშირდება ქვეყნის მომავალს, რადგან მომავალ თაობაზეა დამოკიდებული ქვეყნის მდგომარეობა. თუ ძლიერი, განათლებული, მოაზროვნე თაობა მოვა და ქვეყნის სადავეების მართვას დაიწყებს, ქვეყანაც ძლერი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული იქნება, თუ პირიქით მოხდება და გაუნათლებელი თაობა შეუდგება ქვეყნის მმართველობას, მაშინ ქვეყანაც ჩამორჩენილი, განუვითარებელი და სუსტი იქნება, რადგან ასეთ დროს ადამიანები წვრილმანებზე იქნებიან ორიენტირებული და ყურადღების მიღმა დარჩებათ მნიშვნელოვანი, რაც ჩამორჩენილობის ნიშანია, აქ გამახსენდა აკაკი წერეთლის ალეგორიული მოთხრობა „კუდაბზიკეთი“, სადაც ტილებსა და რწყილებს ამეფებდნენ. ადამიანებს მეტი გონიერება არ გააჩნდათ, ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან კარგსა და ცუდს, დაისახეს ორი არჩევანი და მათგან ორივე ერთმანეთზე უარესი იყო, რაც ადამიანების სიბრიყვესა და სიბეჩავეზე მეტყველებს, როცა ადამიანი ვერ ახერხებს კარგისა და ცუდის ერთმანეთისაგან გარჩევას, ირჩევს ცუდს, ორიენტირებული ხდება მასზე და ყურადღების მიღმა რჩება მნიშვნელოვანი ეს პიროვნული ჩამორჩენილობის ნიშანია და დამღუპველია ქვეყნისთვის,

საზოგადოებისთვის. ამიტომაც სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა და ყველა რესურსი იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ ჯანსაღი თაობა აღზარდოს და გაუშვას შრომის ბაზარზე.

უდავოა, რომ მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში უზარმაზარი როლი მშობელს მიუძღვის, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხრივ სახელმწიფოს როლიც. ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვას სახელმწიფო ადრეული, ჯერ კიდევ, სკოლამდელი ასაკიდან იწყებს. სახელმწიფო ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას. ბავშვი 2-წლიდან იწყებს საბავშვო ბაღში სიარულს და შესაბამისად იწყება მისი ცნობიერების ჩამოყალიბებაც. იქ ხვდება გარემო, რაც ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ, ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას. ამასთანავე აქვე ხდება ბავშვის სკოლისთვის მომზადება.

სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს და იგი გვევლინება, როგორც მოზარდის აღმზრდელი, სწორ გზაზე დამყენებელი და მაგალითის მიმცემი. ამისთვის ყველა პირობას ქმნის, რომ ბავშვი იყოს დაცული და უსაფრთხოდ სკოლაში, ოჯახში, თავშესაფარში, ამ ყოველივეს უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ შემდეგნაირი რეგულაციები შეიმუშავა, სადაც ვკითხულობთ:

ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან, ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, რის საფუძველზეც 2010 წელს ხელი მოეწერა სამი სამინისტროს (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს) ერთობლივ ბრძანებას „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანება აყალიბებს ძალადობის მსხვერპლ

ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მიმართვიანობის მექანიზმებს და, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დასახავს რეაგირების სტრატეგიას.

მოზარდის ცნობიერების განვითარებაში უმთავრესი და განუსაზღვრელია სახელმწიფოს როლი. დავიწყოთ იქიდან, რომ ოჯახების მატერიალური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოს მდგომარეობაზე, ბავშვს უნდა ქონდეს ყველა პირობა - მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. სახელმწიფო ეხმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რათა ბავშვებზე არ აისახოს ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირე. რაც შეეხება ბავშვის ფიზიკურ განვითარებას, აქაც ზრუნავს სახელმწიფო. არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურება სრულიად უფასოა. სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია უამრავი უფასო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, სადაც მოზარდებს უსასყიდლოდ შეუძლიათ გაწევრიანება.

როგორც ვნახეთ, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის,რომ ქვეყანაში არსებობდეს შესაფერისი გარემო პირობები ბავშვის ცნობიერების სწორი მიმართულებით განვითარებასა და ჩამოყალიბებისთვის. ცოდნა ძალაა და ადამიანმა რაც უფრო მეტი იცის მით უფრო მეტი შეუძლია, იტყოდა იტყოდა: „ქვეყანა მაშინ არის ძლიერი თუ მცოდნე და განათლებული ერი როგორც წმინდა ილია მართალი ყავსო“ [14, ინტერნეტ წყარო]. ეს კარგად იცის ჩვენმა ქვეყანამ და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოზარდებს ყველა პირობა ჰქონდეთ ცოდნისა და განათლების მისაღებად. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მოზარდის მომავალი ცხოვრებისთვის, ისე ქვეყნის მომავალი კეთილდღეობისთვის.

2 თავი. სახელმწიფო და განათლება

„განათლება ნიშნავს ჩვენს შვილებს სწორი მიზნების დასახვა ვასწავლოთ“.

ციცერონი

2.1 განათლება (ტერმინის განმარტება)

წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს საფუძველს განათლებული და ინტელექტუალური უნარ-ჩვევების მქონე საზოგადოება წარმოადგენს.

განათლება, ეს არის ადამიანის მიზანმიმართულ ქმედებათა პროცესი, რომლიც მიზნად ისახავს მის ფიზიკურ, ინტელექტუალურ, მორალური უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლის ძირითად წყაროს სწავლა წარმოადგენს. ამ პროცესის განხორციელებისთვის, ისევე, როგორც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროსაც საკანონმდებლო გარანტიები უნდა ჰქონდეს, ურომლისოდაც შეუძლებელია ინდივიდმა შეძლოს მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება, ეს კი გულისხმობს, რომ ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო თავისი დემოკრატიული ღირებულებების განვითარების გზაზე უნდა იცავდეს განათლების უფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას, სწორედ, ისევე, როგორც ნებისმიერი დემოკრატიის გზაზე მდგარი სახელმწიფოს უზენაეს კანონში, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის მეორე თავი სხვა ძირითად უფლებებთან ერთად განსაზღვრავს, რომ **ყველას აქვს განათლების მიღების და მისი ფორმის არჩევის უფლება.** მეტი გარანტისათვის კი კონსტიტუცია განსაზღვრავს ზოგადი განათლების დაფინასების წესსაც, რომლის მიხედვითაც ზოგადი განათლება სრულიად ფინანსდება სახელმწიფოსგან.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა აგებულია ერთგვარი წრიული ფორმით, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სწორად გახარჯულ ფინანსებს საგანმანათლებლო სისტემაში, ეს კი იძლევა საშუალებას უფრო მეტად განვითარებული და განათლებული მომავალი თაობის ჩამოყალიბებას, განათლებული მომავალი თაობა კი გარანტია საგანმანათლებლო სისტემის კიდევ უფრო დახვეწისა .

სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკით განისაზღვრება სხვადასხვა მიზანი, რომელთაგან ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მოზარდის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე ინდივიდად ჩამოყალიბება, აგრეთვე, აღსანიშნავია, მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება.

სხვა ფუნქციებთან ერთად განათლების დანიშნულებაა მოზარდის ცნობიერებაში გააღვივოს კულტურის, ტრადიციებთან და ოჯახთან დაკავშირებულ ფასეულობათა მიმართ პატივისცემის გრძობა, ასევე რწმენის, რელიგიის და შეხედულებების შემწყნარებლობის უნარის გამომუშავება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარის სწორად განვითარების გარანტად გვევლინება სწორედ სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკა.

როგორც გავიგეთ, განათლება სწავლის გზით ცოდნის მიღებას ნიშნავს. საქართველოში უხსოვარ დროში წერა-კითხვას, ძირითადად, ოჯახებში მშობლები ასწავლიდნენ შვილებს, ბევრმა ცნობილმა მწერალმა დაწყებითი განათლება სახლში მიიღო. აგრეთვე მასწავლებლები იყვენენ სასულიერო პირები, მოძღვრები, ბავშვები მათგან სწავლობდნენ წერა-კითხვასა და საღვთისმეტყველო ლიტერატურას. შემდეგ განათლების კერებს ეკლესია მონასტრები წარმოადგენდა. ცნობილია გელათის, იყალთოს აკადემიები, რომლებიც განათლების უძლიერეს კერებს წარმოადგენდნენ მე-12 საუკუნეში, მას შემდეგ დღემდე საქართველოში ვითარდება, იხვეწება და ყალიბდება განათლების სისტემა.

ვაჟა-ფშაველა ამბობს: „განათლება ლმობიერ გრძნობებს უვითარებს ადამიანს“, ამ სიტყვებში, როგორც ჩანს ავტორმა იგულისხმა, რომ განათლება გონების სინათლეა და იგი ადამიანში ავითარებს თანაგრძნობის, სიყვარულის, თანადგომის, სიკეთის და სათნოების უნარს.

ძალიან ბევრს საუბრობს განათლების რაობასა და მნიშვნელობაზე დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, იგი თავის პუბლიცისტურ წერილში „ისევ განათლების შესახებ“ აღნიშნავს, ცოდნა ძალაა, განათლება ადამიანს აძლიერებს უფრო გონიერს, წინდახედულს, შორსმჭვრეტელს, თავდაჯერებულს და ჭკვიანს ხდის. განათლება ეხმარება ადამიანს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენებაში. განათლება, არა მარტო, კაცობის ნიშანია, არამედ უზრუნველი ცხოვრების მოწყობის საშუალებაც არის, „ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად.

რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალწინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება“ ამბობს ილია.

ამგვარად, განათლება აუცილებელი და მნიშვნელოვანი პირობაა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას.

2.2 განათლების ფუნქციური დანიშნულება

განათლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. ძნელია, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება განათლების გარეშე წარმოვიდგინოთ. ვიცით, რომ "ცოდნა-ძალაა" და ამ ძალას მოკლებული ადამიანი უძლური იქნება ორიენტირება იპოვოს წინააღმდეგობებით აღსავსე XXI საუკუნეში. საინტერესოა, რა ფუნქცია აკისრია განათლებას. გარდა იმისა, რომ განათლება ადამიანის სოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, სოციოლოგ ემილ დიურკემის აზრით, განათლების მთავარი ფუნქცია დომინანტი კულტურის ღირებულებების, მაგრამ იმის გამო, რომ განსხვავებულ საზოგადოებაში კულტურული მიზნები და ღირებულებები განსხვავდება ერთმანეთისაგან, განათლების მნიშვნელობაც განსხვავებულია. მაგ: შუა საუკუნეებში, ევროპაში, მთავარი ყურადღება ქრისტიანულ სწავლებას ეთმობოდა, რენესანსის ეპოქა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი გაზრდილი ინტერესით გამოირჩეოდა.

დღეს განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ადამიანის სოციალიზაციის გარდა, კულტურული ღირებულებების შენარჩუნება, ინფორმაციისა და ცალკეულ გამოცდილებათა თავმოყრაა.

განათლება მრავლისმომცველი ცნებაა, მისი ფუნქციური დანიშნულებაა: ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარება. განათლებულობის აუცილებელ კომპონენტად განსწავლულობასთან (ცოდნასთან, გონებრივ განვითარებასთან) ერთად ყოველთვის ითვლებოდა აღზრდილობა, სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება.

არავისთვის იქნება უცხო თუ ვიტყვი, რომ განათლებას ყველაზე ხშირად სკოლასთან აიგივებენ. სკოლა ისეთ ინსტიტუტად განიხილება, სადაც ხდება პიროვნების ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, განათლების სოციოლოგიის საგანი სწავლა და სასწავლო დაწესებულებებია. პიროვნების აქტიური სოციალიზაციის პროცესი, მაინც, სკოლაში მიმდინარეობს. აღზრდა-განათლება მძლავრი სოციალური მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ადამიანის სოციალიზაცია. სოციალიზაცია ასწავლის ბავშვს როგორ მოიქცეს, რა აკეთოს იმისთვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ადამიანი ადამიანად არ იბადება, ის აღზრდის პროცესში გადაიქცევა ადამიანად. აღზრდისა და განათლების საშუალებით ხდება ადამიანი საზოგადოებრივი არსება, ამიტომ განათლების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების არსებობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სკოლა აძლევს ბავშვს იმ უნარ-ჩვევებს, რასაც ვერც ერთი სხვა სოციალური ინსტიტუტი და სასწავლო დაწესებულება ვერ მისცემს, ამიტომ გამართლებულია განათლების სოციოლოგიის საგნად სკოლისა და სასწავლო პროცესის მიჩნევა.სკოლის მერხიდან უკვე განსაზღვრულია ბავშვის ადგილი საზოგადოებაში.თუ ადრე ელიტურ საზოგადოებას ქონება და წარმოშობა განაპირობებდა, დღეს ამ საზოგადოებას განათლება და კვალიფიკაცია ქმნის. სწორედ, ამ ფაქტორებმა განაპირობა, რომ განათლება ნელ-ნელა უფრო დაფასებული ხდება. უმრავლესობა განათლებისაკენ მიისწრაფვის, რადგან იციან, რომ თანამედროვე სამყაროში განათლების გარეშე საკუთარ თავს ვერ იპოვიან. განათლება ადამიანს ეხმარება, რომ სწორი ორიენტაცია დაიჭიროს ცხოვრებაში და მიყვეს იმ გზას, რომელიც დაეხმარება უკეთეს ცხოვრებაში.

რაც შეეხება განათლების ფუნქციურ დანიშნულებას, საქართველოში შემდეგნაირია: მან უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. განათლების სისტემა მოსწავლეებს აძლევს საჭირო ცოდნას, უვითარებს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე

საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. აგრეთვე განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

რაც იმას ნიშნავს, რომ მოზარდმა სწორად უნდა განსაზღვროს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციიდან მოზარდმა უნდა შეძლოს მისი შეფასება, მიზნობრივად გამოყენება და მისი ხარისხის დადგენა;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

მოზარდმა უნდა შეძლოს ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს არსებულის ხარჯზე:

მოზარდმა უნდა შეძლოს არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე და მათი მაქსიმალური რეალიზება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც:

ეს გულისხმობს, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარს, რათა მოზარდმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება,

მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისთვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

ამაში მოიაზრება მოზარდებში ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევების განვითარება;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

ეს პუნქტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დღევანდელ დინამიკურ ეთნიკურად, და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონიორებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. [15, 415].

მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის უფლებების დაცვა, პიროვნების პატივისცემა და ამ პრინციპით ცხოვრება.

ამის გარდა, განათლებას უდიდესი ფუნქციური დანიშნულება აქვს, ზოგადი თვალსაზრისით, სახელმწიფოს ძლიერებისთვის და კონკრეტული ადამიანების კეთილდღეობისთვის, მეტად რომ დავკოკრეტდეთ, განათლება უმთავრესია ქვეყნის სათავეში მდგარი პირებისთვის, რათა გონივრულად წაუძღვნენ თავიანთ საქმიანობას და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები. ელემენტარულად კლასიდან კლასში გადასასვლელად საჭიროა შესაბამისი დონის განათლება, განათლებაა საჭირო უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად, მის დასამთავრებლად და ადამიანი, რომ იყოს საუკეთესო პროფესიონალი, თავისი საქმის მცოდნე, ძლიერი სპეციალისტი ამისთვისაც განათლებაა საჭირო

შოთა რუსთაველი ამბობს: „მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ აქ კარგად ჩანს განათლების ფუნქციური დანიშნულების საკითხი, გამოკვეთილია მისი ყველაზე მთავარი ფუნქცია, რომ სამყაროს შემეცნებისთვის სწავლა-განათლება აუცილებელია და მის გარეშე ადამაიანი დარჩება უგუნური, უმეცარი და ბრიყვი. სამყაროს შემეცნება ადამიანმა თავისი

ვინაობის გააზრებით უნდა დაიწყოს, ეს რომ შეძლოს, აუცილებელია წარსულის ცოდნა, საკუთარი ისტორიის, კულტურის, ზოგადადამიანური ცოდნის დაუფლება, ანუ საიდან მოდის, სწორედ ამგვარი ცოდნის შემდეგ არის შესაძლებებლი აწმყოსა და მომავალზე ფიქრი.

განათლებას სახელმწიფოსთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახლა სწორედ ის დროა ილიას ნააზრევს მივყვეთ, ვუთხრათ არა ძადობას, ჩვენი გონებით, გამჭრიახობითა და განათლებით დავამარცხოთ მტერი. ხმალი თაროზე შემოვდოთ და წიგნი ავიღოთ ხელში. ჩვენს ქვეყანას, როგორც ადრე, დღესაც აქვს პრობლემები, დაკარგული ტერიტორიები, რაც მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს. განათლება აცნობს და აყვარებს ადამიანს საკუთარ ქვეყანას, მის წარსულს, ტრადიციებს, რელიგიას, გმირებსა და უბრალო ადამიანებს, კულტურას, ფოლკლორს, ხელოვნებას, ფასეულობებს. ყოველივე ამის ცოდნა ადამიანს ხდის სრუყოფილსა და ამაყს სხვა ქვეყნების წინაშე, რადგან საქართველოს მსოფლიოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი თვითმყოფადი ისტორიით, კულტურითა და ტრადიციებით.

როგორც ვნახეთ, განათლების ფუნქციური დანიშნულება უზარმაზარია მოზარდის ფიზიკური, გონებრივი ჩამოყალიბების საქმეში და მას უდიდესი და უმთავრესი როლი აკისრია მომავალი სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდის საკითხში. ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი და განხილული პუნქტის განხორციელება განათლების ძირითადი ფუნქციური დანიშნულებაა, რაც ვფიქრობთ ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

2.3 სახელმწიფო, განათლება და მოზარდი

სახელმწიფო, განათლება და მოზარდი ერთი ორგანიზმია. როგორც აღვნიშნეთ, განათლებული თაობა ძლიერი სახელმწიფოს გარანტია. სახელმწიფო კი უნდა ზრუნავდეს მომავალი თაობის განათლებისთვის, ანუ, რასაც გასცემს იგივე

დაუბრუნდება. ქვეყანა იმით იქნება ძლიერი, როცა მცოდნე, გონებაგახსნილი განათლებული ერი ეყოლება.

სახელმწიფო ადრეული ასაკიდან ზრუნავს ბავშვის განათლებაზე, საბავშვო ბაღებში შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რის მიხედვითაც ბავშვებს ამზადებენ სკოლისათვის. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სრულად აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებას. რაც შეეხება სკოლას, სასკოლო განათლება ემსახურება თვით ერის და ქვეყნის მომავალს, ამ დარგზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა უკვე მთლიანად სახელმწიფოს ვალდებულებაა. ეს ქვეყნის არსებობაზე, მის მომავლზე ზრუნვაა. ერის საუკეთესო ნაწილი სწორედ ამ დარგს უნდა ემსახურებოდეს. სასკოლო განათლება სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულია სავალდებულოდ. სასკოლო განათლების სისტემის გაუმჯობესების ინიციატორი ძირითადად სახელმწიფოა.

სახელმწიფო ზრუნავს იმისთვის, რომ ყველა ხელსაყრელი პირობა შექმნას, რათა მოზარდმა სრულფასოვანი განათლება მიიღოს. ყველა პირველკლასელი საჩუქრად სახელმწიფოსგან ღებულობს კომპიუტერს და ამასთანავე ყველა მოსწავლეს საჯარო სკოლაში უფასოდ ურიგდება სახელმძღვანელოები.

სახელმწიფო აფინანსებს თითოეული ბავშვის განათლებას, მათზე გამოყოფილია ვაუჩერები. სწავლის წახალისების მიზნით საბაზო საფეხურის წარჩინებით დამთავრების შემთხვევაში მოსწავლე ჯილდოვდება „ნოუთბუქით“, ხოლო საშუალო საფეხურის წარჩინებული მოსწავლეები ოქროსა და ვერცხლის მედლებით, ჯილდოვდებიან კონფერენციებსა და ტურებში გამარჯვებული მოსწავლეებიც. ყველა სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერების კაბინეტითა და ინტერნეტით, საჭირო ინვენტარით, გათბობის სისტემით, ბიბლიოთეკით და ა. შ. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ტარდება მასწავლებელთა ტრენინგები და გადამზადება. განათლებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით სკოლებში სახელმწიფომ შემოიღო ექიმის, მანდატურისა და ფსიქოლოგის ინსტიტუტები. აქედან გამომდინარე მოზარდს ყველა პირობა აქვს სრულფასოვანი განათლების მიღებისათვის.

რაც შეეხება, საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ, მასში ვკითხულობთ, რომ „ზოგადი განათლების მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის“ [16, 2].

ამავე კანონის მესამე მუხლის პირველ ქვეპუნქტში მოყვანილია საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა სკოლებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებასა და განხორციელებას ისახავს მიზნად, რათა მოზარდს მისცეს საშუალება თავისუფლად აზროვნებისა და თავისუფალი აზრის გამოხატვისა.

საქართველოს მთავრობა ამასთანავე უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციით ნაკისრ უფლება-მოვალეობებს, რომელიც საქართველომ, როგორც უკვე ზემო თავებში აღვნიშნეთ, 1994 წელს მიიღო, რომლის 29-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რაც მას ამზადებს „თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით.

ამრიგად სახელმწიფო, განათლება და მოზარდი ნიშნავს, რომ მოზარდი არის სახელმწიფოს მომავალი, სახელმწიფოს ინტერესებში კი განათლებული მომავალი თაობა შედის, ამიტომაც ლომის წილი მოზარდების განათლების საქმეში სახელმწიფოს აკისრია და სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად განათლების საკითხიც ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის. სახელმწიფოზეა დამოკიდებული ხარისხიანი განათლების საკითხი. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კი აუცილებელია სწორი და გააზრებული რეფორმების გატარება. საჭიროა ამ დარგში ისეთი სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის მატებას, მოტივაციის ამაღლებას, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დღემდე და დღესაც უამრავი რეფორმა ტარდებოდა და ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესი მიმართულია ამ დარგისკენ და თავისთავად მისასალმებელია. ბევრი პროექტი წარმატებით განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. სახელმწიფო აფინანსებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის დაგეგმილ ტრენინგებს, რაც ითვალისწინებს პედაგოგებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დაუფლებას. სახელმწოფო ხელს უწყობს სკოლაში უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალი, პოზიტიური გარემოს შექმნას. სისტემატურად ნერგავს ახალ სასკოლო პროგრამებსა და რესურსებს. განათლების სისტემის კომპლექსური ცვლილებები მიზნად ისახავს ამ დარგის განვითარებას, რადგან საქართველოში განათლება პრიორიტეტული სფეროა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების რეფორმას, რაშიც საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ეს ყველაფერი კი მოზარდებისთვის კეთდება. საბოლოოდ, სახელმწიფოს მიზანია განათლებასთან დაკავშირებით ისეთი სისტემა განავითაროს, რაც ხელს შეუწყობს მოზარდის შესაძლებლობების სრულად რეალიზებას, აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე, კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი მოქალაქეები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ, ეკონომიკის მშენებლობასა და ძლიერი სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

2.4 მოზარდთა სამოქალაქო ცნობიერება

მოქალაქეობა ადამიანის მთავარი ვალდებულებაა. მოზარდთა სამოქალაქო ცნობიერება ბევრი რამის ცოდნას მოიცავს ესენია: ადამიანის უფლებები და ის პირობები, რომლებზეც ამ უფლებების დაცვაა დამოკიდებული, აგრეთვე ცოდნა იმის შესახებ, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები. მნიშვნელოვანია სკოლაში ყოფნის გამოცდილებაც, რამაც მოზარდს უნდა შესძინოს იმის ცოდნა, რომ მოსწავლეები თავისუფალი და თანასწორნი არიან. სამოქალაქო ცნობიერებით შთაგონებული მოზარდი ეწინააღმდეგება ბულინგს, არ მოსწონს ძალადობა , უპასუხისმგებლობა, მოუწესრიგებლობა, უმეცრება, უსაქმურობა, თავხედობა, უსამართლობა და სხვა უარყოფითი თვისებები ადამიანის. ვერ იტანს ტყუილს, სიყალბეს, ფარისევლობას, ღალატს და სხვა მანკიერებებს.

მოზარდს უნდა გააჩნდეს ცოდნა, უნარი და თავდაჯერებულობა იმისა, რომ დაიცვას საკუთარი უფლებები და პატივს სცემდნენ სხვის უფლებებს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოეკიდონ საზოგადოებას სხვა ადამიანებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ადამიანთა უფლებებს შორის აზრის გამოხატვის თავისუფლება, რაც მოზარდმა კარგად უნდა იცოდეს სიტყვის, აზრის რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების მთავარი საყრდენებია.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზარდის სამოქალაქო ცნობიერება ნიშნავს ცოდნას საკუთარი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების ისტორიული წარსულისა, ტრადიციების და კულტურისა. მოზარდს ადრეული ასაკიდანვე უნდა აინტერესებდეს ეს ყოველივე, რაც დაეხმარება აწმყოს გაცნობიერებაში, სინამდვილის ადეკვატურად აღქმაში და საკუთარი მომავლის სწორად წარმართვაში. დღეს საქართველოს ესაჭიროება დემოკრატიული მოქალაქე, რაც გულისხმობს ყველა იმ ღირებულების ცოდნას და დაუფლება, განვითარებას, რაც მოეთხოვება დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეს. მოზარდში დემოკრატიული მოქალაქეობის ცნობიერების ჩამოყალიბება, თვითშეფასებისა და ურთიერთპატივისცემის, ღირებულებების შეძენა

ხდება სკოლაში სოციალიზაციის საფუძველზე. ურთიერთობის დროს, გაკვეთილების პერიოდში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანია მოზარდისათვის გააცნობიეროს ადამიანთა უფლებები და საკუთარი ვალდებულებები, ეზიაროს დემოკრატიულ კულტურას (ტოლერანტობას, ურთიერთპატივისცემას, ადამიანის უფლებებისადმი ღირსეულ დამოკიდებულებას).

სკოლის ასაკში უყალიბდება ადამიანს თავისუფალი ცნობიერება. უკვე ზრდასრული ადამიანის თავისუფალ პიროვნებად გარდაქმნა შეუძლებელია ამიტომ მოზარდობის ასაკი ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოდა. მთელი ძალისხმევა აღზრდას უნდა მოხმარდეს, რომ უკვე ზრდასრულ ადამიანთან გვიანია რამე დიდაქტიკური და შემეცნებითი ღონისძიებების გატარება, რადგან ის უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა, მისი გარდაქმნა ძნელია.

კარგად უნდა ესმოდეს მოზარდს ადამიანის სამოქალაქო უფლებები, უნდა ითვალისწინებდეს მოვალეობებს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული თავისუფლების ცნება, რომ ის არ არის თავგასულობა, აღვირახსნილობა, ეს არის პასუხისმგებლობა, უნდა იყოს ტოლერანტი, პატივი სცეს განსხვავებულ აზრს, ეხმარებოდეს სხვებს, სხვისი სარგებლობისთვის შრომობდეს და ხალისით აკეთოს თავისი საქმე. პრობლემის აღმოჩენა და მისი გადაჭრის გზების ძიების უნარი, შემდეგ მცდელობა ამ პრობლემების მოგვარებისა.

კრიტიკული აზროვნება

სამოქალაქო ცნობიერება უნდა იწყებოდეს კანონის უზენაესობის აღიარებით. კანონმორჩილ მოქალაქედ ადამიანი მოზარდობის ასაკიდან უნდა ყალიბდებოდეს. ზრდასრული ადამიანის სამოქალაქო ცნობიერება განსხვავდება მოზარდის სამოქალაქო ცნობიერებისაგან. მოზარდებს არ ევალებათ გადასახადების გადახდა, არჩევნებში მონაწილეობა, სავალდებულო სამხედრო სამსახური, აზრის გამოსახატავად მშვიდობიან აქციებში მონაწილეობა, თუმცა უნდა შეეჩვიონ აქტიურობას, რათა საზოგადოების აქტიური წევრი გახდეს, მოზარდის სამოქალაქო ცნობიერებაც ამას ითვალისწინებს. აქტიურად ჩარევას სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეში. ეს ითვალისწინებს მოზარდის მხრიდან დაინტერესებას ქვეყანაში, ქალაქში, თემში მიმდინარე პროცესებით, როგორც აღვნიშნეთ მოზარდს უფლება აქვს

ისაუბროს აქ არსებულ პრობლემებზე, დასვას კითხვები, მოითხოვოს პასუხი მათზე, მონაწილეობა მიიღოს ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და მოგვარებაში, რა თქმა უნდა, შესაძლებლობების ფარგლებში.

მნიშვნელოვანი მახასიათებელი მოზარდის სამოქალაქო ცნობიერებისა თანასწორობის გააზრებაა, რაც გულისხმობს ყველა ადამიანის თანასწორობას, უფლებებისა და კანონის წინაშე, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, ასაკისა, სქესისა, უნარისა და ა.შ. ყველა ადამიანის უფლება დაცული უნდა იყოს, რადგან ყველა ადამიანი დაბადებიდან თანასწორია.

მოზარდს უნდა ესმოდეს, რომ საზოგადოებაში ნებისმიერი ჯგუფი, როგორიცაა ბავშვები, ქალები, მოხუცები, ემიგრანტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეროვნული უმცირესობები, არ განიცდიან დისკრიმინაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ხდება მათი უფლებების შეზღუდვა, პირიქით, მათ ეხმარებიან, გამოავლინონ თავიანთი თავი და ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დემოკრატიული საზოგადოება უზრუნველყოფს მოქალაქეთა მაქსიმალურ თანასწორობას, მოზარდის მოქალაქეობრივ ცნობიერებაში ეს უნდა აისახებოდეს.

მოზარდის სამოქალაქო ცნობიერება გულისხმობს, აგრეთვე, ცხოვრების წესის, მოსაზრებებისა და ინტერესების მრავალფეროვნების აღიარებას. მოზარდმა, როგორც მოქალაქემ იცის, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს პიროვნული თავისუფლება, მაგრამ აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ, ურთიერთდათმობის გზით უნდა შეთანხმდნენ მიზნების მისაღწევად. ეს განსაკუთრებული ნაწილია მოზარდის თვითშეგნებისა, რაც აქცევს ღირსეულ მოქალაქედ. აქტიური მონაწილეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარია მოზარდის და ზოგადად, ადამიანის ცხოვრებაში იგი ხელს უწყობს მოზარდს გაითვალისწინოს მისი ინტერესები, გააცნობიეროს საკუთარი საჭიროებები, პრობლემები, როლები და პასუხისმგებლობები. საკუთარი როლის გააზრება მოზარდს თავდაჯერებულობას მატებს, უმაღლებს თვითრწმენას და უბიძგებს საკუთარი ძალებით მოაგვაროს პრობლემები.

პირად და საზოგადოებრივ საქმინაობაში მონაწილეობის მისაღებად კი მოზარდს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები:

თანამშრომლობა- ერთი მიზნისთვის გაერთიანება, კომპრომისზე წასვლა, შეთანხმებული ქმედებები კარგი თანამშრომლობის მახასიათებლებია.

მზრუნველობა- შინაგანი სურვილია გასაჭირში მყოფი ადამიანების დახმარებისა, მოზარდს შეუძლია ნებისმიერ ადამიანთან მიმართებაში ან ცხოველებთან მიმართებაში გამოხატოს იგი.

ერთგულება- საკუთარი და გუნდის პრინციპების ინტერესებისა და მიზნების მიმართ ერთგულება საქმის სიყვარული, სხვისი აზრის დაცვა, ადამიანებთან გვერდში დგომა.

ლიდერობა- გულისხმობს ინიციატივის საკუთარ თავზე აღებას. ლიდერი ჯგუფის ხელმძღვანელია, გეგმავს საქმიანობას, ვადებს, თანაბრად ანაწილებს ჯგუფის წევრებზე ვალდებულებებს და აწესებს კონტროლს დავალების შესრულებაზე.

შეუპოვრობა- ეს მთავარი თვისებაა დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად, უკან დახევა ნიშნავს დამარცხებას, კეთილი საქმის კეთებისთვის საჭიროა სიმტკიცე, მიზანმიმართულობა, პოზიციაზე მყარად დგომა, რადიკალიზმი წარმატების მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

პატივისცემა- ურთიერთშეთანხმებული მოქმედება, მუშაობის პროცესში ერთმანეთის აზრის პატივისცემა და დაფასება.

გამბედაობა- ყველა მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებას და განხორციელებას სჭირდება გამბედაობა, ეს მთავარი თვისებაა წარმატებული საქმიანობისათვის.

პატიოსნება- ეს არის სამართლიანობა, საქმის კეთილსინდისიერად კეთება, ღია და გულწრფელი ურთიერთობები მოიაზრება ამ თვისებაში.

პასუხისმგებლობა- საქმის ბოლომდე მიყვანა, სიტყვის პატრონობა, პირობის შესრულება, საკუთარი ვალდებულებების პირნათლად განხორციელება, თვითშეგნების მაღალი დონე, სხვა ადამიანების უფლებების აღიარება.[17, 34].

მოზარდის სამოქალაქო ცნობიერება გულისხმობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისების ფლობას. ფაქტობრივად ასეთი მოზარდები მზად არიან პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავიანთი წვლილის შესატანად.

განხილული საკითხი ამომწურავად ახასიათებს მოზარდს, როგორც ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ მოქალაქეს. მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში კი ეხმარება მოზარდს სახელმწიფო, სკოლა, ოჯახი. ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის აქტიური მოქალაქეებია საჭირო.

2.5 მედიაწიგნიერება, მისი როლი მოზარდის ცნობიერების ამაღლებაში

XXI საუკუნე ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაა, ჯერ კიდევ, შუა საუკუნეებში და მანამდე ინფორმაციის გავრცელების ერთადერთი საშუალება ხელნაწერები იყო, შემდეგ შეიქმნა საბეჭდი მანქანა. XX საუკუნეში კი ამ მხრივ დიდი ცვლილების მოწმენი გავხდით და საბეჭდი მანქანა ჩაანაცვლა კომპიუტერმა, რამაც გამოიწვია ინფორმაციის რაოდენობის გაზრდა, მისი სწრაფად გავრცელება, წყაროების მრავალფეროვნება. ინფორმაციის უდიდეს ნაკადში ადამიანს უჭირს ნამდვილისა და მოგონილის ერთმანეთისაგან გარჩევა. თანამედროვე საქართველოს მოქალაქის გარშემო უამრავი ინფორმაციის უზარმაზარი მოცულობაა. ტელევიზია, ინტერნეტი, სხვადასხვა გამოცემა, ხანდახან ერთმანეთთან შეუთავსებელ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას, დღეს უკვე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ასევე, სოციალური მედიის მეშვეობით სწრაფად გაავრცელოს პირადი მოსაზრებები, რაც ხელმისაწვდომი იქნება უამრავი მოქალაქისთვის, ეს ხშირად აბნევთ ადამიანებს და აწუხებთ კითხვები, როგორ შეძლონ ცვალებადი ინფორმაციიდან გაიგონ რა არის რეალური. რა გააკეთონ იმისთვის, რომ საჭირო ინფორმაცია მიიღონ და თავიდან აიცილონ ზიანი? ამაში მედიაწიგნიერება დაგვეხმარება, „მედიაწიგნიერება გამჭოლი კომპეტენციაა, ეს არის უნარი რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის არსებული საზღვრის დანახვისა“. [18, ინტერნეტ წყარო]. ეს ნიშნავს, რომ არ უნდა მოვექცეთ ინფორმაციის წნეხში. რადგან უდიდესი ნაკადი გვხვდება ინფორმაციისა. უნდა

შეგვეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება, ინფორმაციის გაფილტვრა, კრიტიკულად შეფასება, რაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ უნარებს მოითხოვს. ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა მოითხოვს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. ეს უნარები დიდ როლს თამაშობს მოზარდის ცნობიერების ამაღლებაში, მედიაწიგნიერების უნარი ცნობიერების უმაღლესი დონეა.

მედიაწიგნიერების კომპეტენციები მოზარდისთვის მნიშვნელოვანი საყრდენია მედიისა თუ ინტერნეტის საშუალებით მიღებული ინფორმაციის სწორად გამოყენებისათვის, მედიაწიგნიერება გულისხმობს ინფორმაციის არამხოლოდ მოძიების, მიღების, გაანალიზების, არამედ მისი შექმნის და გავრცელების უნარ-ჩვევებს. მედიაწიგნიერება გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკულად გააზრების უნარს, რომლის დროსაც ადამიანი აფასებს წყაროს სანდოობას და ვალიდურობას, ადგენს ინფორმაციის გავრცელების მიზანს, აკვირდება, რამდენად დასაბუთებულია მოცემული მსჯელობა. მედიაწიგნიერების უნარი ეხმარება მოზარდს აქტიურად განასხვავოს ფაქტი ინტერპრეტაციისგან, კერძო მოსაზრება-ობიექტური მოცემულობისგან, სწორხაზოვნება-მრავალმხრივობისგან, აძლევს შესაძლებლობას თავად გახდეს ფართოდ გავრცელებული ინფორმაციის წყაროც, შეუძლია მედიის ეფექტურად გამოყენება პიროვნული თუ საქმიანი კავშირების დასამყარებლად, სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებების მოსახდენად, განათლების თუ დასაქმების შანსების გასაზრდელად, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში მედიაწიგნიერებას უმთავრესი ფუნქცია აკისრია მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ამას ისიც მოწმობს, რომ დღეს სახელმწიფო დაინტერესებულია ამ საკითხით, განიხილავს სამოქმედო გეგმას, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებში მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების დაუფლებას.

უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მედიაწიგნიერების განვითარების საქმეში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოა, მან საქმიანობა 2000 წლის პირველ ივლისს დაიწყო. ჩვენს ქვეყანაში მედიაწიგნიერების ასამაღლებლად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული

კომისია 2019 წელს მოზარდებისთვის მედიაწიგნიერების 5 პროექტს განახორციელებს, პროექტები ევროკავშირის ქვეყნების წარმატებული პრაქტიკების შესწავლის, მათი ეფექტიანობის შეფასებისა და საქართველოში განხორციელების შესაძლებლობების ანალიზის შედეგად შეირჩა. ავტორთა თქმით, ეს პროექტები ხელს შეუწყობს მოზარდში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორებიცაა:

ა) კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების დაუფლება;

ბ)მიღებული ინფორმაციის შეფასება და ანალიზი;

გ)ცრუ ინფორმაციის (პროპაგანდა, ყალბი, საზიანო ინფორმაცია, დეზინფორმაცია) ამოცნობა;

დ) ინფორმაციის წყაროს კრიტიკული შეფასება და ავტორის შესაძლო მოტივაციის განსაზღვრა;

ე) ციფრულ და შემოქმედებით ეკონომიკაში მონაწილეობის შესაძლებლობების ეფექტიანად და უსაფრთხოდ გამოყენება;

დაგეგმილია დაწყებით კლასებში შეიტანონ სახელმძღვანელო „გამარჯობა რუბი," რომელიც ფინური წიგნის სერიაა და ქართულად არის ნათარგმნი. წიგნი მიზნად ისახავს კომპიუტერული მეცნიერების დაუფლებას, კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარის განვითარებას. ამ წიგნით სწავლება სექტემბრიდან განათლების რეფორმის ფარგლებში შერჩეული სკოლების დაწყებით კლასებში განხორციელდება. ასევე იგეგმება პედაგოგების გადამზადებაც, რომლებიც უკვე მოსწავლეებს გადასცემენ ამ ცოდნას, 2018 წლის ბოლოს შეიქმნა მედიაწიგნიერების დეპარტამენტი, რომელიც საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობაზეა პასუხისმგებელი. ამ პროექტების განხორციელების საჭიროება სახელმწიფო დონეზე იქნა აყვანილი, 2017 წლის ბოლოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას პარლამენტის მიერ განესაზღვრა უფლებამოსილება, რომ ქვეყანაში განავითაროს მედიაწიგნიერება. ირლანდიელი ექსპერტის მარტინა ჩეპმენის ჩართულობით შეიქმნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა. კომისიამ განიხილა 300-ზე მეტი წარმატებული პროექტი და აარჩია მათგან 5. შეიქმნა ერთიანი ქსელი, რომლის მიზანი ამ მიმართულებით დაინტერესებული პირების გაწევრიანებაა. სამიზნე ჯგუფებად შეირჩა ბავშვები და მოზრდები, რადგან

ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. აუცილებლად მოხდება მშობლების და პედაგოგების ჩართულობაც.[19, ინტერნეტ წყარო].

მოზარდებში მედიაწიგნიერების ამაღლების მიზნით პროექტის ფარგლებში მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის გამოცხადდა კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი“, მედია საშუალებების მიერ მიწოდებული ინფორმაციებიდან ბავშვებს უნდა გამოევლინათ ყალბი ინფორმაცია, რომელიც ეხება საქართველოში მომხდარ ამბავს და ფაქტებით უნდა დაემტკიცებინათ, განცხადებების მიწოდების შემდეგ გამოავლენდნენ კონკურსის გამარჯვებულებს: პირველ, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს, რომლებიც დაჯილდოვდებოდნენ.

მოზარდის ცნობიერების ამაღლებისთვის აუცილებელია მისი გონება საზრდოს სახით ღებულობდეს ჯანსაღ და სწორ ინფორმაციას. იმისათვის, რომ სწორი ინფორმაცია გაარჩიოს მოზარდმა დეზინფორმაციისაგან ექსპერტები და მკლევრები ზოგად რჩევებს სთავაზობენ:

1) ინფორმაციის თარიღი მეტყველებს მის სინამდვილეზე ამით ირკვევა ძველია თუ ახალი ინფორმაცია და აქედან გამომდინარე რამდენად დამაჯერებელია;

2) არის თუ არა მითითებული ინფორმაცია ავტორის შესახებ მისი საკონტაქტო ნომრები, მეილი;

3) თუ ორგანიზაციაა აქვეყნებს ინფორმაციას უნდა ვიცოდეთ რა ფინანსებს ფლობს და რა ტიპის ორგანიზაციაა;

4) ვაკვირდებით ხარიხს მაგალითად ფოტოები, ინფორმაციები თუ სხვა გვერდებიდან არის გადმოტანილი უხარისხო იქნება;

5) თუ ვებ-გვერდი სკანდალებზეა ორიენტირებული ის ნაკლებად დამაჯერებელი და სანდოა. ეს არის ძალიან მწირი ინფორმაცია რაც დაეხმარება მოზარდს რეალურისა და მოგონილის გარჩევაში, იმედია მომავალში მედიაწიგნიერება მნიშვნელოვნად განვითარდება ჩვენს ქვეყანაში და დადებით გავლენას მოახდენს მოზარდების ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

მედიაწიგნიერების ამაღლების მიზნით სხვა აქტივობებიც განხორციელდა, 5 თებერვალს უსაფრთხო ინტერნეტის მსოფლიო დღე აღინიშნება, საერთაშორისო საზოგადოებას 2019 წელს საქრთველოც შეუერთდა. ამ დღესთან დაკავშირებით განათლების და ეკონომიკის სამინისტროებმა სხვადასხვა ორგანიზაციის მონაწილეობით გამართა დისკუსია- მოზარდის ცნობიერების ამაღლების მიზნით. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ორგანიზაციებმა სკოლებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში ჩაატარეს ტრენინგები. ამ სფეროს სპეციალისტები ძირითადად მოზარდებთან დაკავშირებულ რისკებს ასახელებენ. მაგალითად ეს არის ბავშვების პერსონალური მონაცემების გასაჯაროება და შემდეგ შანტაჟი. რა უნდა იცოდეს მოზარდმა იმ რისკების შესახებ, რაც ინტერნეტის მოხმარებას მოყვება და როგორ უნდა დაიცვან თავი საფრთხისგან? სწორედ ამ თემებზე ჩაატარეს ტრენინგები სპეციალისტებმა და მოზარდებს მიაწოდეს ინფორმაცია ამის შესახებ, რომ არ უნდა გახსნან უცხო ფაილები და სიფრთხილით მოეკიდონ უცხო ვებგვერდებს, რამაც შეიძლება დააზიანოს მათი კომპიუტერი და ისინიც.

ერთი სიტყვით, დღეს ბევრს საუბრობენ მედიაწიგნიერების განვითარების საკითხზე და ეს მნიშვნელოვანი, აქტუალური, თანამედროვე ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარია, უდიდეს როლს ასრულებს მომალი თაობის აზროვნებისა და ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში, რადგან თანამედროვე ეპოქა კომპიუტერის გარეშე წარმოუდგენელია და კაცობრიობის ამ მიღწევამ, რომ არ დაგვაზარალოს, უნდა ვიცოდეთ მისი სწორად გამოყენება, რათა პირიქით მოხდეს და მისგან სარგებელი მივიღოთ. თანამედროვე საქართველოს განვითარების ტემპი მომავალი თაობის ხელშია, და იმისთვის, რომ ქვეყანა სწრაფად განვითარდეს საღად მოაზროვნე თაობა სჭირდება. მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში განუსაზღვრელია მედიაწიგნიერების როლი, ამიტომაც ექცევა დღეს ამხელა ყურადღება ამ მიმართულებას. სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესი მოზარდებში მედიაწიგნიერების განვითარებისაკენ არის მიმართული, რადგან როგორც ვნახეთ, ისეთ უნარებს მოითხოვს, რაც მოზარდის ცნობიერების სრულყოფილად ჩამოყალიბებისთვის არის აუცილებელი, შესაბამისად აუცილებელია მოზარდებში ამ უნარების განვითარება და ჩამოყალიბება, რათა

უფრო ძლიერი, ჯანსაღი, თანამედროვე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოდელი შეიქმნას.

3 თავი.

მშობელთა ჩართულობა და სახელმწიფოს თანადგომა

„აღზრდა არსებობის დასაწყისიდან იწყება და ცხოვრების ბოლომდე გრძელდება“. პლატონი

3.1 სახელმწიფო და ოჯახი (თუ ოჯახი და სახელმწიფო) მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში

სახელმწიფო და ოჯახი თუ ოჯახი და სახელმწიფო, ამ ორი ორგანიზმის ერთ მთლიანობაში განხილვა საინტერესო იქნება, რადგან ოჯახების კეთილდღეობა დამოკიდებულია სახელმწიფოზე, სახელმწიფოსი კი ოჯახის კეთილდღეობაზე. ხოლო ამ დასახელებაში რომელი დაიკავებს პირველ ადგილს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში, სავარაუდოდ, აქ სახელმწიფოს როლი მეტად იკვეთება, რადგან მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა უშუალოდ სახელმწიფოს ვალდებულებაა. ძველ დროში ასე არ იყო, უხსოვარი დროიდან ვიცით, რომ არ იყო სკოლები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, ბავშვები სახლის პირობებში იღებდნენ განათლებას. მაშინ, შეიძლება ითქვას, ოჯახის როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში სახელმწიფოზე პრიორიტეტული იყო. დღესდღეობით საქართველოში სახელმწიფოს თანადგომა განუზომელია. მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე მთლიანად სახელმწიფო ზრუნავს და მშობელი მხოლოდ დამხმარეს როლში გვევლინება. ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ უშუალოდ სახელმწიფოს ფუნქციაზე და მის როლზე მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში. გავიგეთ, რომ სახელმწიფო ყველა პირობას უქმნის ოჯახს შვილების გაჩენისა და აღზრდისათვის, დაწყებული საბავშვო ბაღიდან, დამთავრებული საშუალო განათლებით, მთელ პასუხისმგებლობას მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე სახელმწიფო იღებს. ოჯახს ბავშვის ტარება, გამოკვება და კონტროლი ევალება. ამიტომ ამ თავში მოზარდის ცნობიერების განვითარების საქმეში ოჯახის როლსა და მშობლის ჩართულობაზე ვისაუბრებთ.

მშობლის ჩართულობას შვილის განათლების პროცესში დადებითი შედეგი მოაქვს მოსწავლეს უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება და ტესტებსა და გამოცდებში უკეთესი შედეგები აქვთ, უმჯობესდება დასწრების მაჩვენებელი მოსწავლე არის პოზიტიური სახლსა და სკოლაში. უვითარდება სოციალური უნარები, რაც გავლენას ახდენს მომავალი პროფესიული საქმიანობის პროცესშიც.

მშობლის ეფექტური ჩართულობა ნიშნავს პასუხისმგებლობას ბავშვის მიღწევასა და სწავლის გაუმჯობესებაზე. მასწავლებლებთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, მშობელი ესწრება მნიშვნელოვან ღონისძიებებს, ახალისებს და აქებს ბავშვის მიღწევებს, ერთობლივი ძალისხმევით აგვარებენ პრობლემებს მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი. მშობელმა სკოლას რეალური მოთხოვნები უნდა დაუსახოს, რეგულარულად აკონტროლოს შვილის პროგრესი მასწავლებლებთან ერთად. დაეხმაროს მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულებაში. ბავშვზე სასიკეთოდ მოქმედებს აგრეთვე მშობლის მიერ შვილის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია მასწავლებელზე, ასეთი ბავშვები უკეთეს შედეგებს აღწევენ, ღებულობენ კარგ ნიშნებს, ხარისხიანად ასრულებენ საკლასო და საშინაო დავალებებს, აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. მშობელთა ჩართულობას ბავშვის განათლების პროცესში იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა თუ მშობელთა განათლების დონე მეორეხარისხოვანი საკითხებია. მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებასთან ერთად ვითარდება მშობლის პიროვნული თვისებებიც: უფრო გამგებიანი, მზრუნველი, თავდაჯერებული ხდება, ადგენს შვილის საჭიროებს, აფასებს მის მიღწევებს, სიამოვნებით ერთვერბა ბავშვის განათლებისა და აღზრდის პროცესში, იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობას შვილის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, აქვს პოზიტიური ურთიერთობა მის მასწავლებლებთან და ფლობს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობის შესახებ. მშობლის მხარდაჭერა დადებითად აისახება მასწავლებლებსა და სკოლაზე, იზრდება სკოლის იმიჯი, მასწავლებელიც ინფორმირებულია მოსწავლის შესახებ, გრძნობს მეტ პასუხისმგებლობას. მოკლედ, მშობელთა ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში.

ახლა კი ვისაუბროთ იმაზე თუ როგორი მდგომარეობაა საქართველოში ამ კუთხით. პრაქტიკულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სწავლის სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული მშობელთა ჩართულობა. ადრეულ ასაკში ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება, ამ დროს მეტად დამოკიდებულია მშობელზე, ამიტომ მშობლები ცდილობენ არ მოაკლონ თავიანთ პატარას ზედამხედველობა, ამიტომაც მშობელთა აქტიურობა დაწყებით კლასებში უფრო მეტია, ვიდრე მაღალ კლასებში. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რომელიც საბაზო საფეხურზე ჩატარდა, მშობლის ჩართულობა შედარებით აქტიურია მე-7 კლასში ნაკლებნად-მე-8-ში მე-9 კლასებში კი პასიურია. აქვე გვთავაზობენ სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიური ჩართულობისთვის საჭირო აქტივობებს, ეს არის: მშობელთა მონაწილეობით შიდასასკოლო ღონისძიებების ჩატარება, სხვადასხვა სასკოლო გადაწყვეტილებაში მშობელთა ჩართვა (მათი კომპეტენციის ფარგლებში). მიაჩნიათ, რომ ამით სკოლა გამოცოცხლდება, მშობლებს შეეცვლებათ დამოკიდებულება და იგრძნობენ, რომ აუცილებელია მათი ჩართვა არამარტო სასწავლო პროცესში, არამედ სასკოლო ცხოვრებაშიც. [17, პრაქტიკული კვლევა „მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში“, ავტორები გ. მღვდელაძე, ა.გონაშვილი, ნ. კვიჟინაძე, თბილისი 2014 წელი, გვ 3,4,5]. ამავე თემაზე სერიოზული კვლევები ჩაატარეს G-PriEd-მა, 2012 წელი და Public Agenda-მ 2003 წელი. აღნიშნული პროექტები სახელმწიფოს ხელშეწყობით ხორციელდება ქვეყანაში, რითაც სახელმწიფო დიდ ინტერესსა და თანასდგომას გამოხატავს. G-PriEd საქრთველოს დაწყებითი განათლების პროექტია და ჩაატარა კვლევა ჩართულობაზე, რა სირთულეებს აწყდებიან დირექტორები, მასწავლებლები და მშობლები საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში ამ კუთხით. გამოიკვეთა სირთულეები და ამ კვლევის საფუძველზე სახელმწიფომ და განათლების სამინისტროსთან ერთად G-PriEd-მა შეიმუშავა მშობელთა ჩართულობის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ისეთი ტიპის აქტივობებს, რაც დაეხმარება მშობლებს და მათ შვილებს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დამეგობრდნენ, დაეხმარონ ერთმანეთს სოციალური გამოცდილებისა და ცოდნის შეძენაში. დაეხმაროს მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულებაში, იკითხოს მასთან ერთად და ერთად განიხილონ

სკოლაში მიმდინარე პროცესები. კვლევებმა აჩვენა, რომ ბარიერს ქმნის მშობლების თავშეკავებულობა სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვისგან. მიზეზად დროის უკმარისობა, ანუ მშობელი მუშაობს დილიდან საღამომდე და არ ცალია მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებაში. თვლიან, რომ უჭირთ საუბარი ვერ მეტყველებენ შესაფერისად და ამის გამო თავი შორს უჭირავთ, ისიც იცის, რომ არ ელიან სიხარულით, უამრავი პრობლემა, საყვედური და გაკიცხვა ელით. თავის მხრივ მასწვლებლებს ჰგონიათ, რომ ოჯახებმა არ იციან როგორ მიიღონ მონაწილეობა ამა თუ იმ აქტივობაში, ამიტომაც მშობლებს არ რთავენ ღონისძიებებში. ამ ბარიერების მიუხედავად, როგორც მშობლებს, ისე მასწავლებლებს სურთ, რომ ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდეს. თუკი სასარგებლო იქნება სკოლისათვის. Public Agenda- ის პროგრამის მონაწილეებსაც მიაჩნიათ, რომ მოსწავლის წარმატება სკოლისა და ოჯახის საერთო ინტერესია. მშობელთა ჩართულობას წარმატებული სკოლები სწავლის პროცესში პრიორიტეტად მიიჩნევენ სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაციას, რაც ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა მასწავლებლები და მშობლები ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას. და ეს არ საჭიროებს დიდ ძალისხმევასა და დროს, რადგან თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები საუკეთესო და ეფექტურია კავშირის დასამყარებლად. მშობელსა და მასწავლებლებს ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლიათ ტელეფონის, ინტერნეტის საშუალებით.[20, 3,4,5,6,8,9, 10, 13, 14].

საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი გვთავაზობს სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის სტატისტიკას, რომლის მიხედვით, ჩართულობის 60% ფიქსირდება დაწყებითი კლასის მშობლებთან, 40% საბაზო საფეხურზე მყოფ მოსწავლეთა მშობლებთან და არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა საშუალო საფეხურის მშობლებთან. ვფიქრობთ, რომ სტატისტიკა სანდოა და რეალობას შეესაბამება, აღმაშფოთებელია საბაზო და საშუალო საფეხურზე მშობელთა ჩართულობის მაჩვენებელი, ჩანს მშობელთა პასიურობა, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. ამ საფეხურზე მოზარდების ასაკი

თავისებურებებით გამოირჩევა. ისინი უცხოვდებიან მშობლებთან ურთიერთობაში, ჩნდება ბარიერები, საზღვრები. მოზარდი ჩაკეტილი ხდება. მშობელსაც უჭირს შვილის გაგება. თავს ანებებს შვილს, ცდილობს არ გააააღიზიანოს და არ ჩაერიოს ზედმეტად შვილის პირად ცხოვრებაში, თუნდაც, ეს სწავლას შეეხებოდეს. როგორც აღვნიშნეთ, მოზარდის ცნობიერების განვითარებაში სახელმწიფო და ოჯახი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ისინი ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი ოჯახი ქმნის და ოჯახის ძლიერება სახელმწიფოს ძლიერებაზეა დამოკიდებული, ამიტომ ძნელია რომელიმეს უპირატესობის გამოყოფა, თუმცა სახელმწიფოს უფრო მეტი შეუძლია და მაინც მასზეა დამოკიდებული ოჯახის ძლიერება, რაც შეეხება მშობლის ჩართულობას, საკმაოდ აქტუალური საკითხია დღეს იგი და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. რაშიც ეხმარება სახელმწიფოც, ასე იყო ადრეც. დედას დიდი ფუნქცია აქვს ამ საქმეში, ილია ჭავჭავაძე პოემაში „ქართლის დედას“ დედას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას შვილის აღზრდაზე, დედამ აკვნიდანვე უნდა ჩაუნერგოს ათი მცნება შვილს და ასწავლოს ამ მცნებებით ცხოვრება, ისე აღზარდოს „შვილის გული, რომ წინ უძღოდეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“. ვაჟა ფშაველა ამბობს „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“.

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. მშობლის და კონკრეტულად დედის პასუხისმგებლობა უზარმაზარია შვილის აღზრდის პროცესში, ეს მუდამ ასე იყო არის და იქნება, მხოლოდ ის არის განსხვავება, რომ ადრე ქვეყანას უჭირდა და იქით სჭირდებოდა ჩვენი თანადგომა, ახლა სახელმწიფოს თანადგომა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში საგრძნობია. უამრავ პროექტს, აქტივობას და საქმიანობას ახორციელებს ქვეყანა ამ საკითხის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო თავის ფუნქციას კარგად ასრულებს. ისღა დარჩა, რომ მშობელმაც პირნათლად შეასრულოს საკუთარი ვალდებულება, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ სწორი მიმართულებით განვითარდეს და ჩამოყალიბდეს მისი შვილის ცნობიერება, რადგან ქალი თავისი დედობით არის ის კვირტი, რომლისგანაც, ილიას სიტყვებს

დავესესხები, „ძვირფასი მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა“ მგზავრის წერილები [21, 122].

ამრიგად, სახელმწიფოს თანადგომა და მშობელთა ჩართულობა თანაბრად არის აუცილებელი მოზარდის ცნობიერების განვითარებისთვის. მეტ-ნაკლებად შევეცადეთ გვესაუბრა იმ ვალდებულებებზე, აქტივობებსა და საქმიანობებზე, რასაც სახელმწიფო აკეთებს და რაც მშობელმა უნდა გააკეთოს. სასურველია მეტი დრო დაუთმონ მშობლებმა შვილებს. ერთად იარონ კინო-თეატრებში, მუზეუმებში, ექსკურსიებზე, იკითხონ წიგნები, ისაუბრონ სხვადასხვა თემაზე, განიხილონ ციტატები, აფორიზმები, თავი აგრძნობინონ მოზარდს ოჯახის სრულუფლებიან წევრად. მიანიჭონ თავისუფლება არჩევანში, დაეხმარონ პრობლემების მოგვარებაში, ასწავლონ კარგისა და ცუდის გარჩევა და მისცენ მიმართულებები, რათა არ გაუჭირდეთ სწორი არჩევნის გაკეთება. ადამიანი თავისი ადამიანობით ფასდება და უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩამოყალიბდება მისი ცნობიერება და რას მოუტანს მომავალში ქვეყანას და საზოგადოებას ადამიანები, რომელთა ხელში იქნება ქვეყნისა და ხალხის ბედი და მომავალი.

4 თავი

სოციალური კვლევა

წინამდებარე თავი წარმოადგენს სოციალურ კვლევას, რომლის მიზანიცაა ჩვენ მიერ არჩეული პრობლემის საზოგადოებამდე მიტანა და მათივე აზრის გათვალისწინება. აქვე აღვნიშნავთ, რომ არც შედეგმა დააყოვნა და დღის წესრიგში რიგი პრობლემები დააყენა. ჩვენი მიზანიც პრობლემათა კვალდაკვალ რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გამოკვეთა გახლავთ.

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევის კითხვარი. კვლევის მიზანია, დადგინდეს, რა როლი აკისრია სახელმწიფოსა და მშობელს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

1. ასაკი:

ა)18-25;

ბ)26-35;

გ)36-45;

დ)46 და ზემოთ.

2. სქესი:

ა)მდედრობითი;

ბ)მამრობითი.

3. განათლება:

ა)საბაზო საფეხური;

ბ) სრული ზოგადი;

გ)უმაღლესი.

4. როგორ გესმით, სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში?

ა)სახელმწიფო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს მოზარდის ფიზიკურ განვითარებაზე;

ბ)სახელმწიფო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს მოზარდის გონებრივ განვითარებაზე;

გ) სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე.

დ) სხვა.

5. თქვენი აზრით, სახელმწიფოს რა ქმედითუნარიანი ნაბიჯების გადადგმა ევალება მოზარდის ცნობიერების ასამაღლებლად?

ა)მოზარდი თაობისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსებით უზრუნველყოფა;

ბ)საგანმანათლებლო სისტემის დახვეწა და განვითარება;

გ)სოციალური-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მოგვარება;

დ)სხვა.

6. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოში არსებულ ყველა იმ კანონს, რომელიც მოზარდისკენაა მიმართული?

ა) დადებითად;

ბ)უარყოფითად;

გ)საშუალოდ.

7. რა როლს თამაშობს მოზარდთა ცნობიერების ჩამოყალიბებაზე სახელმწიფოს პოლიტიკურ,სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ა)მნიშვნელოვანია;

ბ)უმნიშვნელოა.

8. ატარებს თუ არა დღეს სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებებს მოზარდთა ცნობიერების ასამაღლებლად?(სპორტულ,კულტურ საგამანათლებლო და სხვა).

ა)ატარებს;

ბ)არ ატარებს;

გ)ნაწილობრივ.

9. თქვენი აზრით, როგორ აისახება ქვეყნის კონკრეტული კრიზისული მდგომარეობა მოზარდებისთვის (ომი,ძალადობა, გაჭირვება)?

ა)უარყოფითად მოქმედებს მოზრდის ცნობიერებაზე;

ბ)არანაირად არ მოქმედებს მოზარდის ცნობიერებაზე;

გ)უფრო აძლიერებს მოზარდის ცნობიერებას.

10. როგორ ფიქრობთ რომელი თამაშობს ყველაზე დიდ როლს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში: სახელმწიფო, ოჯახი თუ საზოგადეობა?

ა)ოჯახი;

ბ)სახელმწიფო;

გ) საზოგადოება;

დ)სამივე ერთად;

11. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დამოკიდებული ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება?

ა)დამოკიდებულია;

ბ)არ არის დამოკიდებული;

12. როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა რამდენად ეფექტურია?

ა)ეფექტურია და დღითიდღე ვითარდება;

ბ)არ მუშაობს და ექსპერიმენტებს ატარებენ;

13. სახელმწიფოს მხრიდან საგანმანათლებლო კუთხით მხოლოდ ფინანსური რესურსის დანახარჯის ზრდა იძლევა თუ არა მოზარდის თვითცნობიერების ამაღლებას?

ა)დიახ

ბ)არა

14. რა როლი აკისრია სკოლას მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში?

ა) სკოლა პირველი და უმთავრესი დაწესებულებაა, რომელიც მოზარდს აყალიბებს, რადგან პიროვნება ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან წლებს სწორედ იქ ატარებს;

ბ)სკოლას მოზარდის არამხოლოდ ინტელექტუალური აღზრდა, არამედ მორალური აღზრდაც ევალება;

გ) სკოლა მოზარდს აყალიბებს ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ;

დ) სკოლასთან ერთად მნიშვნელოვანია ოჯახის ჩართულობა, რადგან ეს სინთეზური პროცესია;

ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

15. როგორ ფიქრობთ, სკოლას აკისრია უფრო დიდი როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში თუ ოჯახს?

ა)სკოლას;

ბ)ოჯახს;

გ)ორივეს ერთად.

16. რა როლს თამაშობს მშობლის ჩართულობა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში?

პასუხი:.....

17. თქვენი აზრით რა ფაქტორები მოქმედებს მშობელზე და რა იწვევს იმას, რომ ის შვილის მიმართ უყურადღებოა?

ა) ქვეყნის სოციალური-პოლიტიკური ვითარება;

ბ)მშობლის ვალდებულების გაუაზრებლობა;

გ)ბარიერი მშობელსა და შვილს შორის;

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;

ე) სხვა

18. როგორ ფიქრობთ, საქართველოში მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საკითხში მუშაობენ თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებები და მშობლები ერთობლივად?

ა)დიახ, მუშაობენ

ბ)არ მუშაობენ

19)თქვენი რჩევები და რეკომენდაციები საკვლევ თემასთან მიმართებაში.

.....

სოციალური ქსელების საშუალებით ერთი კვირის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 126- მა რესპოდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს თავიანთი აზრი.

გთავაზობთ სოციალური გამოკითხვის შედეგებს



დიაგრამა 1.



დიაგრამა 2.



დიაგრამა 3.



დიაგრამა 4.



დიაგრამა 5.



დიაგრამა 6.



დიაგრამა 7.



დიაგრამა 8.



დიაგრამა 9.



დიაგრამა 10.



დიაგრამა 11.



დიაგრამა 12.



დიგრამა 13.



დიაგრამა 14.



დიაგრამა 15.



დიაგრამა 17.



დიაგრამა 18.

გამოკითხულთა მოსაზრებები იხილეთ დანართში.

წარმოგიდგენთ სოციალური კვლევის ანალიზს

გამოკითხვაში ძირითადად მდედრობითი სქესი აქტიურობდა, ხოლო ასაკობრივ ზღვარში აქტიურობით 18-დან 25 წლამდე საზოგადოება გამოირჩეოდა. აქედან 83.3% უმაღლესი განათლებით, სრული ზოგადი- 12.7%, საბაზო-5,4%. იმის დასადგენად თუ როგორია სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში გამოკითხულთა 82.5% ფიქრობს, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, 11.1%-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე, მათთვის პრიორიტეტულია ამ მიმართულებით მუშაობა, რადგან გონებრივი განვითარება მიაჩნიათ მნიშვნელოვნად, ხოლო 2.1% ბავშვის ფიზიკურ განვითარებას ანიჭებს უპირატესობას და მიაჩნია, რომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს, 4.8% ფიქრობს სხვაგვარად. თუმცა, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში თანაბრად მნიშვნელოვანია და გამოკითხულთა უმრავლესობამ ორივეს ერთად მისცა ხმა. როგორც ვნახეთ გამოკითხულთა დიდი პროცენტი მიიჩნევს, რომ

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ბავშვის, როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე და გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ მისი როლი საზოგადოების აზრით უდიდესია.

იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს როლი მოზარდის ცნობიერების განვითარებაში უდიდესია და გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ უნდა ზრუნავდეს, როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე ლოგიკურად დაისვა კითხვა თუ რა ქმედუნარიანი ნაბიჯების გადადგმა ევალება სახელმწიფოს მოზარდის ცნობიერების ასამაღლებლად, რის გაკეთებაა საჭირო და რა უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ სწორი მიმართულება მისცეს მოზარდის ცნობიერებას, საზოგადოების დიდ ნაწილს საგანმანათლებლო სისტემის დახვეწა და განვითარება მიაჩნია, 70.6% უჭერს მხარს ამ მიმართულების გაუმჯობესებას, უდავოა რომ განათლება უფრო მეტად უწყობს ხელს მოზარდის ცნობიერების განვითარებას ძალიან მნიშვნელოვანია რას და როგორ ისწავლიან ისინი, არანაკლებ მნიშვნელოვანია გარემო, სადაც უწევს მოზარდს ცხოვრება და არსებობა, 18.3% გამოკითხული საზოგადოებისა სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობების გაუმჯობესებას მიიჩნევს მნიშვნელოვნად თუ ეს საკითხები მოგვარდება და მოზარდი მშვიდ, პრობლემებისგან და სტრესისგან თავისუფალ გარემოში იცხოვრებს მის ცნობიერებაზე ეს ყოველივე დადებითად იმოქმედებს კარგად არის ცნობილი, თუ ადამიანმა ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნილობები ვერ დაიკმაყოფილა ვერ შეძლებს საკუთარი თავის რეალიზაციას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ, რაც სახელმწიფომ მოზარდის ცნობიერების ასამაღლებლად უნდა გააკეთოს, მათი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსებით უზრუნველყოფაა. ეს ეხება მოზარდის, ფიზიკურ სიჯანსაღეს და გამოკითხულთა 6.3% ამ მიმართულების განვითარებას ემხრობა. 1.8% სხვა რამეს მიიჩნევს უფრო მნიშვნელოვნად.

მოულოდნელი იყო სტატისტიკა მოზარდებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე, 73%-მა, ანუ უმრავლესმა ნაწილმა რატომღაც დადებითის ნაცვლად, საშუალო შეფასება მისცა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათთვის ბოლომდე მისაღები არ არის მოზარდებთან დაკავშირებული კანონი. საინტერესოა რა არის მიუღებელი, ინტერესს აღძრავს ეს ფაქტიც და ჩნდება სურვილი გაიგო რა არის საზოგადოებისთვის მიუღებელი, რაც ცალკე საკვლევი თემაა და აუცილებლად საჭიროებს გარკვევას. შესაბამისად, ჩვენ აღნიშნულ პრობლემას სხვა რაკურსით, სამომავლოდაც დავუბრუნდებით. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 14,3% აფასებს დადებითად, ხოლო 12,7% უარყოფითად, რაც თითქმის თანაბარია პასუხებიდან გამომდინარე მოზარდებთან დაკავშირებული კანონი გადახედვას და დახვეწას საჭიროებს.

საზოგადოების დიდი ნაწილის, აზრით მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მხოლოდ 17.5% მიიჩნევს უმნიშვნელოდ სავარაუდოდ მათ მიაჩნიათ, რომ სულაც არ არის აუცილებელი პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში ცხოვრება იმისათვის, რომ მოზარდის ცნობიერება სწორად ჩამოყალიბდეს. ეს შეიძლება სიმართლესაც კი შეეფერებოდეს, რადგან ბევრი ქვეყანა ყოფილა სუსტი პოლიტიკური და სოციალური მდგომარების კუთხით, მაგრამ მოზარდების ცნობიერების ამაღლებაში ამას ხელი არ შეუშლია, პირიქით, ისინი მომავალ მწერლებად, პოლიტიკოსებად და სწავლულებად ჩამოყალიბებულან. თუმცა მაინც ვერ უარვყოფთ, რომ ძლიერ ქვეყანას ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდაში დიდი წვლილი აქვს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია მოზარდები ცხოვრობდნენ სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად უზრუნველყოფილ სახელმწიფოში.

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, ამიტომაც დაისვა კითხვა: ატარებს თუ არა სახელმწიფო სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებებს?

სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით ნაკლებად აქტიურობს, რადგან მხოლოდ 19%-მა დააფიქსირა, რომ ატარებს, ეს რაოდენობა რა თქმა უნდა ცოტაა, დადგა საჭიროება იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა დაგეგმოს და განახორციელოს უფრო მეტი სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები მოზარდის ცნობიერების ასამაღლებლად, 74,6% მიაჩნია, რომ სახელმწიფო ნაწილობრივ ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის უმოქმედო და პასიური ამ საკითხის მოგვარებაში. საკმარისი არ არსი სპორტული წრეები, საგანმანათლებლო პროგრამები, ცეკვის, სიმღერისა თუ სხვა კულტურული წრეები და სხვა. ისინი სახელმწიფო დაფინანსებით ძალიან მწირია, ძირითადად კერძო პირებს ეკუთვნით და ფინანსებიც შესაბამისად მშობლის გადასახდელია. ცურვა, ფეხბურთი, ცეკვა, სიმღერა და მსგავს წრეებზე სიარულისთვის თანხები მშობელს აქვს გადასახდელი. 6.3% მიაჩნია, რომ საერთოდ არ ატარებს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება და როგორც ჩანს არ ფლობენ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან, ასე არ არის, რეალურად სახელმწიფოს დაფინანსებითა და ინიციატივით ტარდება ღონისძიებები, მოზარდის ცნობიერების ასამაღლებლად.

ქვეყნის კონკრეტული კრიზისული მდგომარეობა უარყოფითად აისახება მოზარდზე? ამასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე უმრავლესობამ 89.7%-მა უპასუხა, რომ უარყოფითად მოქმედებს კრიზისი მოზარდებზე. ომის სადისტური მოვლენაა, რომელიც იწვევს გაჭირვებას და ანადგურებს ადამიანთა ცხოვრებას, მარჩენალის გარეშე ტოვებს ოჯახებს. თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გამოკითხულთა 8.7% მიაჩნია, რომ ეს პროცესები უფრო აძლიერებს მოზარდის ცნობიერებას და 1.6% ფიქრობს, რომ არანაირად არ მოქმედებს მოზარდის ცნობიერებაზე. ძნელი გასარკვევია რა იგულისხმა მოპასუხემ, როცა აღნიშნა, რომ სახელმწიფო კრიზისი უფრო აძლიერებს, მოზარდის ცნობიერებას, მაგრამ მხოლოდ იმის დასკვნა

შეიძლება, რომ რეალურად ზრდასრულებზე მოქმედებს ქვეყნის კრიზისული მდგომარეობა უარყოფითად და ბავშვებზე უარეს გავლენას ახდენს.

კითხვაზე, რომელი თამაშობს დიდ როლს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში ოჯახი, სახელმწიფო თუ საზოგადოება? ლოგიკურია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ, 84.9%-მა, სამივეს როლი დააფიქსირა, რაც რეალობას შეესაბამება და ნამდვილად დიდია, როგორც ოჯახის და სახელმწიფოს ისე საზოგადოების ერთობლივი როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ხოლო 11.1% ოჯახს ანიჭებს უპირატესობას, ოჯახს მართლაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მოზარდის წინაშე და უნდა ზრუნავდეს მოზარდზე, მაგრამ სახელმწიფო უნდა უწყობდეს ხელს ამაში და საზოგადოებაც თავისთავად მნიშვნელოვანია. საზოგადოებამ აიღო 3.4%, სახელმწიფომ კი 0,8%. სახელმწიფოს დაბალი რეიტინგი ამ კითხვაზე სავარაუდოდ იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვი მოდის ოჯახიდან, საზოგადოებიდან და მათი დანიშნულება უფრო მეტი უნდა იყოს, სახელმწიფო კი მათი დამხმარე და ხელშემწყობი უნდა იყოს, მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში.

ჩვენ გვაინტერესებდა საზოგადოების აზრი იმის შესახებ, რომ არის თუ არა დამოკიდებული საგანმანათლებლო პოლიტიკაზე მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება? უმრავლესობა 97.6% ფიქრობს, რომ დამოკიდებულია, მაგრამ 2.4%-ს მიაჩნია, რომ არ არის დამოკიდებული, როგორც ჩანს ისინი ვინც ფიქრობენ, რომ მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება არ არის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე დამოკიდებული, სავარაუდოდ თვლიან რომ ოჯახზეა დამოკიდებული მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. მისი მიზანია აღზარდოს თავისუფალი ადამიანი. რეალურად მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება დამოკიდებულია

საგანმანათლებლო პოლიტიკაზე. კარგი განათლების სისტემა ზრდის საუკეთესო თაობას.

განათლების სისტემის ეფექტურობაზე დასმულ კითხვაზე ცოტა არ იყოს საგანგაშო პასუხები მივიღეთ, 64.3%-მა უპასუხა, რომ ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა არ მუშაობს და ექსპერიმენტებს ატარებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ფიქრობენ დასახვეწია, დიდი სამუშაოებია ამ მიმართულებით ჩასატარებელი. 35.7% კი მიიჩნევს, რომ ეფექტურია და დღითიდღე ვითარდება, რეალურად განათლების სისტემაში ტარდება რეფორმები მართლაც ისეთი სურათია, რომ ეს რეფორმები ემსახურება სისტემის დახვეწასა და განვითარებას, სავარაუდოდ დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილი მოდელი, ვფიქრობთ ამიტომაც გაიყო ამგვარად საზოგადოების აზრი.

ფინანსებს ბევრი პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია, ყველა დარგისა და სფეროს ფინანსირება, ხელს უწყობს მათ განვითარებას, თუმცა საზოგადოების აზრი განსხვავებული აღმოჩნდა და ჩვენს კითხვაზე უარყოფითად უპასუხა, რომ სახელმწიფოს მხრიდან საგანმანათლებლო კუთხით მხოლოდ ფინანსური რესურსის დანახარჯის ზრდა არ უწყობს ხელს მოზარდის თვითცნობიერების ამაღლებას (73.8%). 26.2% კი ეთანხმება იმას, რომ ფინანსური რესურსის დანახარჯი ხელს უწყობს მოსწავლეთა ცნობიერების ჩამოყალიბებას, ვფიქრობთ აქ ისინი გულისხმობენ საზაფხულო ბანაკების, ექსკურსიების, გაცვლითი პროგრამების, სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებებისა და აქტივობების, დაგეგმვასა და განხორციელებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ უმრავლესობის აზრით მხოლოდ ფინანსური დანახარჯები არ უწყობს ხელს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებას და სხვა ფაქტორებიც, მასთან ერთად აუცილებელია, მაგალითად სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა. ეს ფინანსური დანახარჯების საჭიროებას არ გამორიცხავს.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი თემა იყო სკოლა და მისი როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში და ყველაზე მრავალფეროვანი პასუხები ამ თემაზე იყო გაცემული. 19% სკოლასთან ერთად ოჯახის ჩართულობას მიიჩნევს მნიშვნელოვნად, რადგან ეს სინთეზური პროცესია, მართლაც სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა, რაც მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობას გულისხმობს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ცნობიერების განვითარებას. 18.3% ფიქრობს, რომ უმთავრესია, სკოლა, რომელიც მოზარდს აყალიბებს, ეს სიმართლეს შეესაბამება, თუმცა ოჯახიც მნიშვნელოვანია. 6.3% პასუხობს, რომ სკოლას ეველება ინტელექტუალური და მორალური აღზრდა. პასუხი, რომელსაც გამოკითხულთა უმრავლესობა დაეთანხმა არის ყველა ის ფაქტორები ერთად რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი იყო. ანუ სკოლა, ოჯახთან ერთად აყალიბებს სრულფასოვან, მორალურად, ინტელექტუალურად ჩამოყალიბებულ ადამიანს და ზრდის ღირსეულ მოქალაქეს, რაც რეალურად ასეა.

საზოგადოების აზრით კითხვაზე რას უფრო დიდი როლი აკისრია, სკოლას თუ ოჯახს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, როგორც მოსალოდნელი იყო 88.9%-მა, ანუ გამოკითხულთა უმრავლესობამ ორივეს ერთად მისცა ხმა. სკოლა და ოჯახი ერთად უნდა მონაწილეობდეს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, ხოლო მარტო სკოლას 4.8%-მა დაუჭირა მხარი, ოჯახს კი 6,3%-მა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლაზე მეტად ოჯახს აკისრებენ ვალდებულებას მომავალი თაობის აღზრდა ჩამოყალიბებაში, თუმცა როგორც დავინახეთ ერთად გამოკითხულთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, აქედან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სკოლა და ოჯახი ერთად უნდა იღვწოდეს მოზარდის ცნობიერების განვითარებისათვის.

იმისთვის, რომ გაგვეგო რა ფაქტორები მოქმედებს მშობელზე და რა იწვევს იმას, რომ ის შვილის მიმართ უყურადღებოა 50.8% ამის მიზეზად მიიჩნევს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, მშობლის ვალდებულების გაუაზრებლობას (19.8%), ბარიერს მშობელსა და შვილს შორის (11.9%),

სინამდვილეში ეს ნამდვილად ის ფაქტორებია, რომლებიც მოქმედებს მშობელზე და შვილის მიმართ უყურადღებო ხდება. სოციალური სიდუხჭირის გამო მშობელი იძულებულია დილიდან საღამომდე სამსახურში გაატაროს დრო შვილი კი უყურადღებოდ დატოვოს. თუ მშობელი ვერ გაიაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას შვილის წინაშე ის ვერასოდეს ვერ მიხვდება, რომ ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება მას. რაც შეეხება ბარიერს მშობელსა და შვილს შორის ხშირად ჩნდება, განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში, აქედან გამომდინარე მშობელი ვერ ხვდება რა სჭირდება შვილს შვილიც ჩაკეტილია მასთან და გულის გადაშლა არ სურს, ამიტომ ყურადღებას იკლებს მშობლის მხრიდან. გაუცხოება მშობელსა და შვილს შორის ცივ ურთიერთობას აყალიბებს, ვფიქრობთ გამოკითხულთა 11.9% ამას გულისხმობდა, როცა დააფიქსირა ბარიერი მშობელსა და შვილს შორის.

9.5 % მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას მიიჩნევს მშობლის უყურადღებობის მიზეზად, როგორც აღვნიშნეთ ამის მიზეზებია სამსახური, საქმეები, გაჭირვება და სხვა. ხოლო 7.9% სხვაგვარად ფიქრობს.

საქართველოში მნიშვნელოვანია მშობელი და საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთობლივად მუშაობდნენ მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ, 62.7%-მა, აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით არ მუშაობენ ერთობლივად მშობლები და საგანმანათლებლო დაწესებულებები. 37.3% კი აღნიშნავს, რომ მუშაობენ, თუმცა ჩვენც გამოკითხულთა უმრავლესობას დავეთანხმებით, ვინაიდან რეალობიდან გამომდინარე, რომ ვიმსჯელოთ, მართლაც ვერ ხერხდება ერთობლივად მუშაობა, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს და ამის შესახებ ჩვენ ბევრჯერ ვისაუბრეთ. თუმცა სასურველია, რომ სკოლა და მშობლები ერთობლივად მუშაობდნენ მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გამუდმებით ინფორმაციის გაცვლა მშობელსა და მასწავლებელს შორის მოზარდის მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ დაეხმარება მათ სწორად აღზარდონ ბავშვი, იცოდნენ მისი საჭიროების შესახებ და ისე შეუდგნენ მის აღზრდა

ჩამოყალიბებას. ასე უფრო მივიღებთ დადებით შედეგს და აღიზრდება ღირსეული მოქალაქე.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილეთ ისეთი პრობლემური საკითხი, როგორიცაა სახელმწიფო, მოზარდები და ოჯახი. ძლიერი სახელმწიფო ძლიერი ოჯახებისაგან შედგება და პირიქით. დღეს უზრუნველყოფილი მოზარდი ხვალინდელი უზრუნველყოფილი დღის საწინდარია. ეს თემა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამოუწურავია, თუმცა შევეცადეთ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვისთვის გვეპოვა პასუხი. გამოიკვეთა სახელმწიფოს როლი და მშობელთა აქტივობა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, რაც თანაბრად მნიშვნელოვანია.

პირველ თავში განვიხილეთ სახელმწიფო და მოზარდები. კონკრეტულად კი ვისაუბრეთ სახელმწიფოს ცნების განმარტებაზე, მოზარდის-კონსტიტუციურ უფლებებზე, მოზარდის ცნობიერების ფსიქოლოგიურ მიმოხილვასა და სახელმწიფოს როლზე მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ვისაუბრეთ თუ რამდენად დიდია თითოეული მათგანის როლი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

მეორე თავში სახელმწიფოსთან ერთად განვიხილეთ განათლებისა და მედიაწიგნიერების როლი მოზარდის ცნობიერების ამაღლების საქმეში, ჩამოვაყალიბეთ განათლების რაობა, მისი ფუნქციური დანიშნულება; სახელმწიფო, განათლება და მოზარდი - მათი სინთეზური კავშირი და მოზარდის სამოქალაქო ცნობიერებისთვის ხშირად გადამწყვეტიცაა.

მესამე თავში ყურადღება გავამახვილეთ მშობელთა ჩართულობასა და სახელმწიფოს თანადგომაზე: რომელი უფრო დიდ როლს ასრულებს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში ოჯახი თუ სახელმწიფო. აღმოჩნდა, რომ ორივე ერთი ორგანიზმია და ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია მოზარდთა ფორმირებაში.

მეოთხე თავში წარმოვადგინეთ სოციალური კვლევის შედეგები და ანალიზი, რომლებზე დაყრდნობითაც გავიგეთ თუ რა როლი აქვს სკოლას, ოჯახს და სახელმწიფოს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში ერთად და თითოეულს ცალკე. კვლევისა და ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრა, რომ სამივეს ერთად და ცალ-ცალკე უდიდესი ფუნქციური გავლენა აქვს მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში, თუ ოჯახი ვერ ასრულებს თავის

ვალდებულებას, მაშინ სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე მოზარდის აღზრდა-განვითარების საქმე და პირიქით. ერთობლივი ძალისხმევით ჯობს იმ საქმის კეთება, რასაც ჩვენი მომავალი ქვია. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომელთა გადაჭრა-მოგვარებაც მომავლის საქართველოსთვის არსებითად მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი კი, უპირობოდ არის ხვალინდელი დღის ძლიერი საჯარო უწყებები, ძლიერი საჯარო მოხელეები, ძლიერი სახელმწიფო, რაც ისევ და ისევ მომავლის პერსპექტიულობისა და ხვალინდელი დღის რწმენის განცდაა. „არც ერთი იდეა არ ღირს ბავშვის ცრემლად“, - წერდა თ. დოსტოევსკი.

სამაგისტრო ნაშრომი თანამედროვე სახელმწიფოს მაგალითზე ახლებურად წარმოგვიდგენს პრობლემის ხედვასა და ანალიზს.

დანართი

16.რა როლს თამაშობს მშობლის ჩართულობა მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში?

81 responses

უმნიშვნელოვანესს

მნიშვნელოვანს

აუცილებელია

დიდ როლს

უდიდეს

მნიშვნელოვან როლს თამაშობს

მნიშვნელოვან როლს

ეხმარება მოზარდს საზოგადოების ნაწილად ქცევაში

გარმო დიდ როლს თამაშობს ადამიანის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი ყველაზე მეტ დროს ოჯახში ატარებს, სწორედ ოჯახი თამაშობს ძალიან დიდ როლს

მნიშვნელოვან

უმთავრეს როლს სწორედ მშობელი თამაშობს

მშობლის ჩართულობა უფრო მეტ მოტივაციას უქმნის ბავშვს წარმატებისკენ ბრძოლაში ,როგოც ასეთი მშობელი გვევლინება მოტივატორი ანუ გამღიზიანებელი.

mshobeli valdebulia sworad miudges mozardis fsiqologias nashinac rodesac mas kritikuli asaki aqvs radgan sworad chamoyalibdes misi cnobiereba aramarto kritikul mis zrda ganvitarebis nebismier momentshi

უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, რადგან მოზარდს მშობლისგან შეუძლია მიიღოს სწორი რჩევები სამომავლოდ

უმნიშვნელოვანესს, ის ხშირად მოზარდისთვის მაგალითია

დიდ როლს

მშობელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული შვილის ცნობიერების ჩამოყალიბებაში

დიდ როლს თამაშობს. და აუცილებელია სწორად იყოს ის წარმართული, რადგან ცუდი შედეგი არ მიიღოს.

gadamwyveti roli uwiravs mshobels shvilis cnobierebis chamoyalibebasa da ganvitarebashi rametu shvilebi pirvel rigshi cdiloben mshoblebisgan aigon magaliti

აუცილებელი არის მშობლის ჩართულობა ისევ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, როცა მშობელი შორდება ბავშვს უარყოფითად ისახება ბავშვის განვითარებაზე.

ვფიქრობ მშობლის ჩართულობა უმთავრესია

Mozardi ufro kargad grdznobs tavs roca misi mshoblebi arian am aqtivobebshi chartuli.da mozardi ufro bevr rames swavlobs da igebs

ხელს უწყობს მოზარდს გაერკვეს და ჩაერთოს სასწავლო პროცესთან არსებულ ღონისძიებებში.

მშობლების ჩართულობა აძლიერებს მოზარდის ცნობიერებას

ძალიან დიდ როლა რადგან ოჯახზეა დამოკიდებული, ბავშვის პიროვნული აღზრდა... წათქვამია ბავშვი ოჯახის სარკეაო და მართალიცაა... ის გამჭირვალე სარკეა, სადაც წათლად დაინახავ ოჯახურ მდგომარეობას...

უმნიშვნელოვანესს, რადგანაც მშობლის ჩართულობა ამაღლებს მოსწავლეთა პასუხისმგებლობასა და მოტივაციას.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მშობელს

ძალიან დიდ როლს თამაშობს

Zalian did rols

დიდს

ყველაზე დიდი როლი მშობლებს მიუძღვის.

შვილისთვის მშობლის საქციელი ხშირ შემთხვევაში მისაბაძი და სამაგალითოა

Baushvi carieli qvevria mshobelzea damokidebuli rit avsobs mas.. Samomavlot rom chasdzaxeb imit amogdzaxebs rac masshi chasde

უდიეს როლს

უმნიშვნელოვანესია მშობლის ჩართულობა.

მშობლის ჩართულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია,ავუმაღლოთ შვილებს ცნობიერება და ვიზრუნოთ პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე

მშობლის ჩართულობა მოზარდის ღირდა განვითარებაში დიდ როლს თამაშობს რადგან თავი და თავი ოჯახია მისი პიროვნებად ჩამოყალიბებაში, კარგი მშობლის ღ ზრდილი შვილი ქვეყნის სიამაყეა.

ძალიან მნიშვნელოვანს

დიდ როლს თამაშობს

ძირითადს

მშობლის როლი უმნიშვნელოვანესია მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში, რადგან ის არის ადმიანი, რომლის სიტყვა, საქმე, ქცევა მოზარდისთვის არის მაგალითის მიმცემი, მაპროვოცირებელი, მამოტივირებელი

მნიშვნელოვან როლს რადგან თუ მშობელი არ არის ჩართული ჯანსაღად რა თქმა უნდა, მოზარდი სხვაგან ეძებს იგივე როლის შემსრულებლებს. მშობელთნ არასაკმარისი კავშირი ყოველთვის იწვევს მთელ რიგ უკუშედეგებს

მშობელი უნდა თანამშრომლობდეს სკოლასთან.

მნიშვნელოვან როლს, ეხმარება საკითხების სწორად გადაწყვეტაში

უმთავრესს

dzalian did da mtavar rols tamashobs.

დიდ როლს თამაშობს

მთავარ როლს
მნიშვნელოვანს, რადგან ბავშვები ხშირად მშობლებს ბაძავენ
უაღრესად მნიშვნელოვანს
მშობლის თანამშრომლობით სკოლასთან აღმოიფხვრება მოსწავლის უარყოფითი ქმედებები,დადებით შემთხვევაში აუმაღლდება მოტივაცია
მნიშვნელოვან როლს
უდიდესი როლი ენიჭება მშობელს , შვილის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში
მშობლის როლი უმნიშვნელოვასია. პირველი ცოდნა, სამყაროს შეცნობას მშობლისგან იღებს მოზარდი.
ძალიან დიდს
დიდ როლი აკისრია მშობლის ჩართულობას,რაც სამწუხაროდნაკლებადაა
აუცილებელია მშობლების ჩართულობა, მოზარდს მოტივაციას უმათლებს და პასუხისმგებლობას ზრდის.
მთავარია
ძალიან დიდ როლს.
Did rols tamashobs
Did rola
განავითარებს ბავშვის ცნობიერებას
ყველაზე მთავარი მშობლის ჩართულობა და მაქსუმალური აქტივობაა შვილის აღსაზრდელად
მშობლის ჩართულობა ძალზედ მნიშვნელოვანია ბავშვის გვერდით ყველა ასაკში უნდა იყოს მშობელი.
მთავარი როლი მოზარდისცნობიერების ჩამოყალიბებაში მიუძღვით მშობლებს პიროვნების ჩამოყალიბება და მორალური აღზრდა ოჯახიდან იწყება მერე სკოლა და გარემო.
ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს
ბავშვი განათლებას, გამოცდილებას, სხვადასხვა უნარებს სწავლობს ოჯახში, სკოლაში, სოციუმთან ურთიერთობაში. რადგან მოზარდს(უმეტეს შემთხვევაში) საკმაოდ დიდი დროის გატარება უწევს ოჯახთან(მშობლებთან) აქედან გამომდინარე მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში მშობელი როლი უმნიშვნელოვანესია.

თქვენი რჩევები და რეკომენდაციები საკვლევ თემასთან მიმართებაში.

51 responses

საინტერესოა ძალიან, აქტიური თემაა დღეს, ყველაზე დიდი ძალაა განათლება განვითარებისთვის, წინსვლისთვის და ჯანსაღი მომავლის მშენებლობისთვის. P.S. წარმატებები!

ძალიან კატეგორიეული პასუხები იყო,ზოგჯერ მიწდოდა ცოტა რბილი პასუხის გაცემა. მნიშვნელოვანი თემაა და პასუხისმგებლობა,მშობელს,სკოლას და საზოგადოებას და სახელმწიფოს სორის წაწილდება.

საინტერესოა თუმცა არა ამოწურვად ,ეს თემა განხილვის თემად რჩება და არანაირი ფასი არ აქვს უმოქმედოდ .მთავარო მოქმედებაა

me vfiqrob es aris kvleva swori mimartulebit tu gvinda jansagi da ganatlebuli momavali taoba zemot agnishnul yvela kitcvas da sakitxs didi yuradgebis miqceva chirdeba

ეცადეთ რაც შეიძლება მეტი კომუნიკაცია გქონდეთ მოზარდებთან, ილაპარაკეთ საჯაროდ ამ პრობლემებზე დაწერეთ სტატიები და გაავრცელეთ საზოგადოების ყველა ფენისთვის მისაწვდომი საშვალებებით

სკოლისა და უმაღლესი სასწავლების მოსწავლეთა და სტუდენტთა გამოკითხვა

დავიცვათ მოზარდები ძალადობისგან, ვაჩვენოთ რომ განათლება მნიშვნელოვანია, მხარი დავუჭიროთ , დავაკვირდეთ რა ნიჭი აქვს და მის მიხედვით ვეცადოთ მისი განვითარება, ვიყოთ გახსნილი სიახლეებისთვის და ბავშვში არ ჩავკლათ ინოვაციის და სიახლის სურვილი

კარგია

სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს მომავალი თაობის განვითარებაში, ასევე ოჯახმა უნდა ითამაშოს დიდი როლი მოზარდის განვითარებაში და ხელი შეუწყოს მას.

პირველ რიგში ჩვენს შვილებს უფლის გზით სიარული უნდა ვასწავლოთ, ადამიანებმა უნდა იცოდნენ ღმერთის სიტყვა და დაიცვან მისი აღთქმები, ამის მერეა ყველა დანარჩენი მნიშვნელოვანი

კარგი იქნება კვლევის შედეგების საფუძველზე თუ დასახავთ ქმედით ღონისძიებებს ან რეკომენდაციებს შესთავაზებთ განათლების სისტემის მესვეურებს

გაითვალისწინეთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

საინტერესო და საჭირო თემაა დღევანდელი ვითარების მიხედვით. წარმატებები

მაქსიმალური განთავისუფლება ბარიერების მშობლებსა და შვილებს შორის

saxelmwifom unda uzrunvelyos ufro meti treningebis chatareba axalgazrdebistvis saintereso cnobierebis amamaglebel temebtan dakavshirebit

საინტერესო არის და ყურადღება გაამახვილე მშობლისა და სკოლის ურთიერთთამამშომლობაზე. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში მშობლებს უჭირთ ფსიქოლოგთან მასწავლებელთან თამამშრომლობა არ ითვალისწინებს ხშირ შემთხვევაში რეკომენდაციებს და უარყოფითად ისახება შედეგზეც. მშობლები აქტიურად უნდა ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესში, დაინტერესდეს ყოველდღიურობით რაც ბავშვის ირგვლივ ხდება.

ძალიან კარგი კითხვარია და გამეხარდება თუ შედეგი ექნება

dzalian kaia es proeqti rom arsebobs da mozards ufro uxangdzlivebs swavlas da man icis cxovrebis shesaxef yvelaferi.

ჩემი რჩევა ის იქნება, რომ მშობლებმა შვილებს ყური დაუგდონ, უფრო მეტი დეო გაატარონ სვილებთამ ერთად და დაიჭირონ ოქროს შუალედი, რადგან თუ მოუჭერ ის "გაიჭყლიტება" თუ გაუშვებ ის გაფრინდება.... როგორც ოჯახი ასევე საგანმანათლებო დაწესებუკებაც დიდ როლს თამაშობს ბავშვების ცნობიერების ჩამოყალიბებაში... დღევანდელ ცხოვრებაში რო ვუყურებ მხოლოდ სიბილწე და ბილწი აზროვნებაა ჩამოყალიბებული და ეს ყველაფერი უნდა გამოსწორდეს ოჯახსა და საგანმანათლებლო დაწესებუკებებში... უფრო უნდა გამჯაცრდეს სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში ყოველი კანონი!!!

წარმატებები❤

როდემდე გაგრძელდება განათლების სისტემაში ექპერიმენტების ჩატარება თუ რომელი ხერხი ჯობია. მაგალითან სკოლის მეთორმეტე კლასის შემოღება და ეხლა ისევ გაუქმება.

ცნობიერების ამაღლებაში მოზარდს ხელშეწყობა უნდა ქონდეს როგორც ოჯახიდან ასევე სოციუმიდან

Saxelmwifos roli mozardis ganvitarebashi, ra gonisdziebebs atareben tund arasrulwlovanta qorwineba, fsiqoligiis gakvetilebi skolashi. Utardebodes treiningebi qalebs moemzadon da gaitavson raa mshoblis valdebuleba baushvis moralis agzrdistvis. Daumsxvras stereotipi maswavleblebis klashi ramodenime baushvis akviatebaze arian ararian atosnebi vito.datreiningden masw mozardebshi potencialis shesadzleblobebis asamagleblat waxaliseba bevrs nishnavs .. Tu rame am sakitxebzec miiaqcie yuradgeba

უფრო მეტი ჩართულობა უნდა მოდიოდეს სახელმწიფოს მხრიდან

ძალიან კარგი იქნება თუ მოზარდების ცნობიერების ამაღლება იმ ასაკში მოხდეს ნებისმიერი თემის ირგვლივ, როდესაც მოზარდი მიიღებს და დაიტევს, რომ მერე მისი ტრანსფერი უფრო მარტივად შეძლოს პრაქტიკაში.

მომწონსს თემატიკა და მსგავს პრობლემასთან ასე აქტიურად ჩაჭიდება..უმჯობესია, აქტიური გამოკითხვა ბავშვებთან და მათი ფსიქოლოოგის გაცნობა..ბავშვევთან ურთიერთიბითა და კითხვარით დავრწმუნდებით თუ რაოდენ დიდი პრობლემის წინაშე დგას მომავალი თაობა..პრობლემა ჩნდება მშობლისგან,ვისგანაც გვესმის და ვხედავთ შვილის აღზრდის პრობლემას.მათ უჭირთ თავიანთ შვილებთან კომუნიკაციის დამყარება და ისინი ბავშვის გაჩერების მიზნით იყენებენ ტელეფონსა და ინტერნეტს.გვჭირდება მშობლისგან მეტი ყურადღება და კომუნიკაცია თავიანთ პატარებთან. ინტერვიუ ბავშვებთან,საუკეთესო გზაა,დავადგინოთ მშობლისა და შვილის ურთიერთობა!

კარგი იქნება თუ გაითვალისწინებენ და უფრო დიდ რეფორმებს გაატარებენ საგანმანათლებლო სიტემაში, ბავშვებთან უნდა მუშაობდნენ ფსიქოლოგები და უნდა ეხებოდნენ ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებს რაც ეხება ოჯახს, საზოგადოებაში ქცევის წესებს და სხვა.....

მეტად ვიფიქროთ რა სურთა ბავშვებს

მეტად შეეცადეთ მიაღწიოთ შედეგს

როგორც სახელმწიფო ისე ოჯახი და ისე სკოლა ვალდებულია მოზარდს შეუქმნას პირობები მომავალი განვითარებისათვის.

აქტუალური და მნიშვნელოვანი თემაა. თუმცა ამოუწურავი და მუდამ იქნება განსჯის საგანი.

სახელმწიფოს როლი მოზარდის ჩამოყალიბებაში უნდა გაიზარდოს

თემა აქტუალურია,ვფიქრობ კვლევა ინფორმაციას მოგაწვდით რა როლი ეკისრება სახელმწიფოს,მშობელს და სკოლას მოზარდისჩამოყალიბების პროცესში.

თრმა აქტუალურია გააგრძელეთ ამ მიმართულებით კვლევა

საინტერესო თემას განიხილავთ.. კარგი იქნებოდა საუბარი ყოფილიყო სხვადასხვა ხერხებზე თუ როგორ უნდა ამაღლდეს მოზარდის ცნობიერება.

სახელმწიფოსაც დს ოჯსხსაც პირველ რიგში უნდა გსაჩნდეს მიმიმალური იდეოლოგიური საფუძველი

ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანია თემაა, ამიტომ აუცილებელია, გავრცობის გარეშე, ერთი კონკრეტული მიმართულებით, ამ თემის სიღრმისეულად დამუშავება.

თემა საინტერესო და აქტუალურია..უმჯობესი იქნება , თუ კი ყურადღება მიექცევა მშობელთა ჩართულობას მოზარდის ცნობიერების განვითარებაში.
მოზარდის ცნობიერების განვითარების მიზნით სახელმწიფომ განათლების სამინისტროსთან ერთად უნდა შეიმუშავოს გარკვეული პროგრამა.

ძალიან საინტერესო თემა. გისურვებ წარმატებას.

Xxxxx

.

საგანმანათლებლო სისტემაში კომპეტენტური პირების მიერ რეფორმის გატარება დაქვეყნის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის მოგვარება

უნდა იქნეს უცხოური გამოცდილების ანალიზი და გაზიარება

კვლევისთვის საჭირო კითხვები ძალიან კარგად არის შერჩეული. მაგრამ, ალბათ დავამატებდი NGO-ების როლს, თუ რომელი უფრომეტ როლს თამაშობს მოზარდთა ცნობერების ჩამოყალიბებაში და რა მხრივ. სხვა ყველაფერი ძალიან კარგია <3

საკვლევი თემა ძალიან აქტუალურია. მასზე კვლევის წარმოება იქნება დადებითი განმამტკიცებელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სკოლა,ოჯახი, საზოგადოება---ერთიანი მიზნებით და ამ მიზნის მიღწევის ერთიანი სტრატეგიით უნდა იღწვოდეს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის,მისი სოციალური ადაპტაციისთვის გარე სამყაროსთან და საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის .

თემა ნამდვილად აქტუალურია .რადგან განათლებული და ჯანსაღი თაობა ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია..მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფო სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს ატარებს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ჩამოყალიბებაზე საკმარისი მაინც არ არის..მხოლოდ სკოლა ვერ შეძლებს აქტიური პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას .თუ უფრო აქტიური თანამშრომლობა არ იქნება მშობლებისა სკოლასთან..მშობელთა ნაწილი ცდილობს პასუხისმგებლობა მთლიანად სკოლას დააკისროს.მშობელი
და საზოგადოება შვილისთვის მაგალითის მიმცემია და მაშინ როცა ყველა სამაგალითოდ ვერ გამოდგება .სახელმწიფო კიდევ უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს...ასევე ჟურნალ გაზეთები.
და სატელევიზიო მრავალფეროვანი პროგრამები უნდა მიეძღვნას

გისურვებ წარმატებებს.

ჩემი აზრით მოზარდის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

რაც მთავარია მეტი ყურადღება მიექცეს გარდატეხის ასაკში მოზარდის სწორ აღზრდას

დაიხვეწოს საგანმანათლებლო სისტემა. ჩატარდეს მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ფსიქო ტრენინგები.

ბიბლიოგრაფია

1.გვარამაძე.ნ, მიწიშვილი.ნ, თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის; მასწავლებლის წიგნი; სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო მე-10 კლასისთვის, მეორე გამოცემა გვ 34

2. თეზელიშვილი. ს, „ბიჭი“, იგავი 13, 24; უცხო სიტყვათა ლექსიკონი; მე-2 გამოცემა; თბილისი 2015; გვ 702

3. . კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005 წელი: მუხლი 2, გვ. 2

4. მუზაშვილი. ნ, შარაშენიძე. ნ, ჩუბინიძე. ნ; ქართული ენა და ლიტერატურა მე-10 კლასი; გამომცემლობა დიოგენე 2012 წელი; გვ 380

5. მუზაშვილი. ნ, შარაშენიძე. ნ, ჩუბინიძე. ნ; ქართული ენა და ლიტერატურა მე-11 კლასი; გამომცემლობა დიოგენე 2012; გვ. 122

6. „მშობელთა ჩართულობა“ თბილისი 2015 წელი მასალა მომზადდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში. გვ 3,4,5,6,8,9, 10, 13, 14

7. პაიჭაძე. დ, ვაშაყმაძე. მ, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი და სხვები მუშაობდნენქართული ვარიანტის შემუშავებაში; ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა; გვერდები: 14,15,16,17,19,21,26,27

8. საქართველოს კონსტიტუცია: გამოცემა მოზარდებისათვის [ქართ. და რუს. ენ / სარედ. ჯგუფი: ლალი გზირიშვილი, თამარ დემეტრაშვილი, მერაბ ბასილაია და სხვა.]-თბ.: ფონდი Alpe, 2005

ინტერნეტ-წყაროები

1.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D

2. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4393

3. https://www.facebook.com/vladimer.gorozia/posts/1381629538529022/

4. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=143041

5. http://mastsavlebeli.ge/?p=2496

6. http://mastsavlebeli.ge/?p=2251

7.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

8. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ilia-tchavtchavadze-V-II.pdf

9. http://medialiteracy.ge/ge/page/id/7/ra-aris-mediawigniereba

10.https://1tv.ge/news/saqartvelos-komunikaciebis-komisia-2019-wels-mozardebistvis-mediawignierebis-khut-proeqts-ganakhorcielebs/

6